ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 30 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი. მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 299 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 299

შვილები: სიდონია გიორგაძისა და ელიხაბედ წამალაშვილი, სიძე მიხეილ გიორგაძე და შვილიშვილები: ნიკოლოზი, ვახტანგი, თამარი და გიორგი გიორგაძენი აღვსილნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის და დაუვიწყარის

მარიამ დიმიტრის ასულის წამალაშვილისას

პანაშვიდი და გამოსვენება მიხეილის სამკურნალოს სამლოცველოდან კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში ა. წ. დეკემბრის 30 დილის 9 საათზე,—დაკრძალვა წირვის შემდეგ იქვე. (4185—1—1)

ადამ ზურაბის ძე და ნინო დიმიტრის ასული, შვილები: ბარბარე, ზურაბი, გაიოზი, დავითი და თამარა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს 30 დეკემბერს გადახდილ იქნება, ბრძოლაში გმირულად დაღუპულ საყვარელ და დაუვიწყარ შვილის და მეორეთა ძმის

სოსო ზერელაშვილის

სულის მოსახსენებლად პანაშვიდი. პანაშვიდი გადახდილ იქნება მიცვალებულის საფლავზედ დიდუბის ეკლესიის გალავანში. დასაწყისი დილის 12 საათზე. (4182—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები: ელიზბარ, ალექსი და დიმიტრი პეტრეს ძენი კაჭარავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი მამის

პეტრე კაჭარავას

პანაშვიდი ყოველ დღე დ. აბაშაში საკუთარ სახლში. (4181—3—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

მეხუთედ

ბერდო-ზმანია

მუსიკა დ. არაყიშვილისა, დეკორაციები მხატვარის ვალ. სიდამონ-ერისთავისა, სიმფონიური ორკესტრი ალ. გველესიანის ლოტბარობით. რეჟისორი ალ. ახმეტელი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში.

შაბათს, იანვრის 1-ლს

დილით

კოტეს დანაშაული

რეჟისორი ნ. გამრეკელი ტორელი. დასაწყისი დილის 12 საათზე.

საღამოთი

მეხამედ

ალლუმი

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

(ნ. 3-3)

ქუთაისის ერობის ცენტრალური საავადმყოფო

(ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი).

გაიხსნა პირველ ოქტომბრიდან ამა წლისა შემდეგი განყოფილებით:

1) ქირურგიული	120 საწოლით.
2) ტერაპევტიული	140 „
3) გინეკოლოგიური და საბებიო	30 „
4) კანის და ვენერიული	50 „
5) გადამდებ სნეულებათა	40 „
6) თვალის და კბილის	20 „

საავადმყოფოს უფროს დოსტაქრათ მოწვეულია მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი პრივატდოცენტი ა. ვ. ტიხონოვიჩი.

განყოფილებებს განაგებენ სპეციალისტი ექიმები.

(ნ. 6—)

ქუთაისის ერობის გამგეობა.

ჟურნალი „სახალხო გვარდიელი"

ჯერ-ჯერობით ჟურნალი „სახალხო გვარდიელი" გამოდის თვეში ორჯელ. ჟურნალში მოთავსებული იქნება სოციალისტური, პოლიტიკური, მეცნიერული ხასიათის წერილები; ისტორიული ცნობები სახალხო გვარდიის მოძრაობიდან; მხატვრული ნაწარმოები; ოფიციალური ცნობები მთავარი შტაბის; ომებში დაღუპულ მებრძოლთა სურათების და ბიოგრაფიების მოთავსება და სხვადასხვა. ჟურნალი ღირება 50 მანეთი. გამოვა ყოველთვის პირველს და 15 ს. გამოგზავნილი მასალები პროვინციებიდან უნდა შემოწმებული იქნას ადგილობრივ შტაბების სექციებისაგან. წერილები და ფული შემდეგი მისამართით: თფილისი მთავარ შტაბის კულტურულ სექციას.

(ნ. 5—1)

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

აცხადებს

კონკურსს

თავის ცენტრალურ საავადმყოფოში შემდეგ თავისუფალ ადგილებზე: 1) საავადმყოფოს დირექტორის ჯამაგირი 12000 მან. თვეში, ბინა, გათბობა და განათება. 2) ტერაპევტიული განყ. გამგე ექიმის ჯამაგირით 12000 მან თვ. 3) ამავე განყოფილების ორი ორდინატორის ჯამაგირი თითოს 12000 მ. თვ. 4) ქირურგიული განყ. ორი ორდინატორის ჯამაგირით 12000 მ. თითოს თვ. 5) საბებიო განყ. გამგე ექიმის ჯამაგირი 12000 მან. თვ. 6) ვენერიული და კანის გამგე ექიმის ჯამაგირი 12000 მან. თვ. 7) თვალის განყ. გამგე ექიმის ჯამაგირი 12000 მან. თვ. 8) ბაქტერიოლოგი-პროზექტორის ჯამაგირი 12000 მან. თვ. 9) კბილის განყოფილების გამგე ექიმის ჯამაგირი 12000 მან. თვ. გარდა ჯამაგირისა ექიმები იღებენ დაწესებულ ულუფას შრომის მაგიდიდან და ერობიდან. მსურველთ უნდა გამოგზავნონ თხოვნები curiculim vitae ერობის საექიმო სასანიტარო განყოფილების სახელზე. თხოვნების გარჩევა მოხდება 26 დეკემბერს ექიმთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლის თანდასწრებით.

(ნ. 6—4)

ქუთაისის ერობის გამგეობა.

აკაკი პაპავა

სოლეილ-დორ

მოთხრობათა კრებული

წიგნი პირველი.

გამოცემა „სახელოვნო" ცენტრისა.

წიგნი გამოვა საახალწლოდ.

(ნ. 5—5)

საქართველო და ევროპის კაპიტალი

ჩვენი რესპუბლიკის გარეშე მდგომარეობის დასაფასებლად დიდათ საყურადღებოა ევროპიდან დაბრუნებული ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის მიერ პრესაში გამოქვეყნებული ცნობები. ამ ცნობებიდან ერთი უტყუარი და შეუმცდარი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

ევროპის ძლიერი სახელმწიფოები უკვე იცნობენ საქართველოს და უყურებენ მას, როგორც სახელმწიფოს, რომელსაც მკვიდრი მომავალი აქვს. ასეთი შეხედულება საქართველოზე კიდევ უფრო მაგრა ფეხს იკიდებს ევროპის კაპიტალისტურ-ფინანსიურ წრეებში; მათი თავისუფალი კაპიტალები უკვე კალაპოტს იკვლევენ საქართველოსაკენ და აქეთკენ მომდინარეობენ ჩვენი ქვეყნის გასანოყიერებლად. ამის მომასწავებელია მსხვილი ხელშეკრულებები, რომლებიც ჩვენ დელეგაციას დაუდვია სხვადასხვა სავაჭრო სამრეწველო ფირმებთან და საფინანსო დაწესებულებებთან.

ამ ხელშეკრულებათა შორის უდიდესია ის მილიონ-ნახევარ გირვანქა სტერლინგის სესხი, რომელსაც აძლევს ჩვენს რესპუბლიკას ბრიტანეთის გარეშე ვაჭრობის ბანკი. თავისთავად ეს სესხი, რა თქმა უნდა, ვერ გამოასწორებს ჩვენს საქმეებს და საბოლოოდ ვერ დააყენებს ფეხზე ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას: ამის მიღწევა შეუძლიან მხოლოდ უსვენებლივს შინაურს აღმშენებლობას და წარმოებას ბევრი წლების განმავლობაში. მაგრამ მსხვილი სესხის დაძვრა ჩვენი ქვეყნისაკენ მით არის დიდმნიშვნელოვანი, რომ ევროპის კაპიტალი ამ ნაბიჯით ჩვენს ქვეყანაში ახალს ამერიკას აჩენს თავის მოღვაწეობისათვის, და ვინ არ იცის, რომ ძნელია მხოლოდ აღმოჩენა ამერიკისა და შემდეგ სულ ადვილია მასთან მჭიდრო კავშირის დაჭერა: ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის მიერ გაკვალული გზით, ეჭვი არ არის, ახლო მომავალში სხვა ფირმებიც გამოემართებიან ჩვენი ქვეყნისაკენ.

ამის აშკარა ნიშანია მეორე ხელშეკრულობა, რომელიც დაუდვია ჩვენს დელეგაციას იმავე ინგლისში—საქართველოს ნაციონალური დაზღვევის ორგანიზაცია. ჯერ დაწვრილებით არ ვიცით რა შინაარსისაა ეს ორგანიზაცია, მაგრამ საკმარისია ისიც, რომ იგი ეხება საქართველოს გარეშე ვაჭრობის მოწესრიგების საქმეს, საქონლის გაზიდვის მოღვაწეობას. თუ ინგლისის კაპიტალისტები ამ საქმეში სდებენ თავის კაპიტალს, ეს იმის მომასწავებელია, რომ ისინი საქართველოს უყურებენ უკვე როგორც სერიოზულ სახელმწიფოს, რომელთანაც გარკვეული ურთიერთობა არ წარმოადგენს სახიფათო საქმეს, რომელშიაც ცხოვრება იმდენათ არის მოწესრიგებული, რომ მასთან საქმის დაჭერა სარგებლის მოლოდინით ადვილათ შესაძლებელია.

დიდი საქმე გაუკეთებია ჩვენს დელეგაციას სხვა ქვეყნებშიაც. საფრანგეთში, მაგ., დაუდვია ხელშეკრულობა აბრეშუმის პარკის მწარმოებელ სინდიკატთან. ამ ხელშეკრულობის ძალით არსდება ფრანგულ-ქართული საზოგადოება, რომელსაც მიზნათ ექნება ამ დარგის გაუმჯობესება საქართველოში. და ჩვენი მინისტრი სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ „ჩვენს აბრეშუმის წარმოებას მათ (ფრანგების) თანამშრომლობით ბრწყინვალე მომავალი ექნება".

მსხვილი ხელშეკრულებაა დადებული აგრეთვე იტალიის მეტალურგიულ ფირმა—„ილვა"-სთან და იტალიურ-კავკასიურ ბანკთან. ეს ფირმები მზად არიან დაიწყონ ტყვარჩელის ქვა-ნახშირის დამუშავება ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებში.

ფინანსთა მინისტრმა კიდევ რამდენიმე ხელშეკრულობა დაასახელა. მაგრამ ჩვენ მათ არ ჩამოვთვლით. თავის დროზე, როდესაც ყველა ეს ხელშეკრულობები გამოქვეყნდება და როდესაც ჩვენ მასალა გვექნება მათ გასაცნობათ, ჩვენს გაზეთს არა ერთი შემთხვევა ექნება დაუბრუნდეს მათ. ეხლა კი არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აშკარა ხდება მინისტრის მიერ გამოქვეყნებულ ზოგადი ცნობებიდან. ყველა მოლაპარაკების დროს, რომელსაც ჩვენი დელეგაცია ახდენდა ევროპის კაპიტალის წარმომადგენლებთან, მთავარ სახელმძღვანელო პრინციპთან მას ჰქონია ერთი აზრი: „ყველა ხელშეკრულობებში იგულისხმება საქართველოს კაპიტალის მონაწილეობა, მონაწილეობა მთავრობისა და სახელმწიფო კონტროლისა, ჩვენი ქვეყნის კანონების და მათ შორის მუშათა კანონმდებლობის სრული შეუზღუდველობა". ჩვენს დელეგაციას საქმის ამ მხარისათვის, უეჭველია, სრულიად შეგნებულად მიუქცევია ყურადღება. ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, მისი ეკონომიური წარმატებისათვის სრულებითაც არ არის სულ ერთი ის, თუ რა პირობებით შემოსდგამს ჩვენში ფეხს უცხო კაპიტალი: შემოვა ის, როგორც მპყრობელი, როგორც ბატონი, რომელიც თავის სურვილისამებრ და საჭიროებისამებრ მიჰყოფს ხელს ჩვენი შინაური ცხოვრების გარდაქმნას, თუ ჩვენი სახელმწიფო შეინარჩუნებს თავის სახეს და დარჩება თავის ბედის ბატონ პატრონათ. რა თქმა უნდა, მხოლოდ უკანასკნელი პირობით შეიძლება კაპიტალისთვის ჩვენი ქვეყნის კარების გაღება.

საშიშარი ნიშნები

ამ უკანასკნელ ხანებში დამფუძნებელ კრებაში კამათმა მეტად მახინჯი ხასიათი მიიღო. სიმახინჯე ამ კამათისა იმდენათ დამაფიქრებელია, რომ მისი გვერდის ავლა შეუძლებელია. ჩვენ კარგათ გვესმის რომ დამფუძნებელი კრების ტრიბუნა არის—ტრიბუნა კამათის, პოლიტიკური აზროვნებათა სხვადასხვაობის შეხლა-შეჯახების უმაღლესი ადგილი. ისიც ვიცით, რომ დროთა მსვლელობაში ხშირია ისეთი მომენტი, როცა ეს შეხლა-შემოხლა მეტად მკაცრ და მწვავე ხასიათს იღებს. ეს ჩვენ სრულიად ბუნებრივათ მიგვაჩნია, რადგან ის შედეგია იმ ძალთა ჭიდილისა, რომელიც ნაყოფია საზოგადოებრივი განვითარების და აქედან წარმოშობილი ძალთა გაძლიერებისა. და რამდენათ წინ მივდივართ, იმდენათ ბრძოლა კლასთა შორის, ეჭვი არაა, უფრო სასტიკ და დაუნდობელ ხასიათს მიიღებს და ეს ბრძოლა გამოძახილს იპოვის ყველგან და თავის ელფერს დაასვამს იმ ურთიერთობას, რომლის წიაღშიაც ის დატრიალდება. ეს ჩვენ მიგვაჩნია აუცილებლათ, სრულიად ბუნებრივათ და ამიტომ, არც ის გაგვიკვირდება თუ ამ ბრძოლამ უკიდურეს გამწვავებამდის მიაღწია.

ჩვენ არ გვაკვირვებს და არც არაფერი გვაქვს წინააღმდეგ პარტიათა შორის მკაცრი ბრძოლისა. ეს ბრძოლა ჩვენში დიდი ხანია უკვე სწარმოებს და ჩვენი პოლიტიკური პარტიების სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მას, გარდა მცირედის გამოკლებისა, მუდამ პრინციპიალური და იდეური ხასიათი ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ასეთმა ბრძოლამ დიდი თვითცნობიერება შეიტანა ჩვენს ხალხში და ის პოლიტიკურათ საგრძნობლათ აზარდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ბრძოლა კიდევ უფრო მეტ სამსახურს გაუწევდა ჩვენი ხალხის პოლიტიკურ აღზრდა-შეგნებას ჩვენს დღევანდელ პირობებში და ამაში უპირველეს ადგილს დაიჭერდა დამფუძნებელ კრების ტრიბუნა. სამწუხაროთ, ჩვენი მოლოდინი არ მართლდება და, როგორც ზევითა ვსთქვით, კამათი დამფუძნებელ კრებაში ისეთ დამახინჯებულ ხასიათს იღებს, რომ იგი არამც თუ ხელს არ უწყობს ხალხის გონებრივ და პოლიტიკურ აღზრდა შეგნებას, არამედ რყვნის და შეაქვს ის საშიშარი დემორალიზაცია, რომლის ნიადაგზე ფეხს იკიდებს და მაგრდება ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მორალი და ზნე ჩვეულებანი. ამ ცეცხლის ამნთები და ინიციატორი არის ჩვენი ოპოზიცია, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან. ამ სამარცხვინო და თან საშიშარმა ზნე ჩვეულებამ სრული მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა, ამ ბოლო ხანებში მაინც, დამფ. კრების ტრიბუნაზე და მისი ავტორები ამაყობენ კიდეც ამით და ჰგონიათ რომ პოლიტიკურ ბრძოლას ეწევიან.

პოლიტიკური ბრძოლა მართლაც რომ სასურველია, მარა, განა პოლიტიკური ბრძოლაა ის, როცა გამოდის ორატორი ტრიბუნაზე და მთელი საათი ლაპარაკობს ქუჩაში მოკრებილ ჭორებს, ან და იჭრება დეპუტატის თუ მინისტრის კერძო ოჯახურ ცხოვრებაში და გლახა ქრიაშვილივით დაუსრულებლივ იმეორებს:—„ამან ეს სთქვა, იმან ეს სთქვაო". რას იტყოდენ ბატონი ოპოზიციონერები, რომ ჩვენც მივბაძე მათთვის, გამოვსულიყავით ტრიბუნაზე და ჩამოგვეთვალა — რომელი დეპუტატის ცოლი როგორ კაბას იცვამს, რომელი დეპუტატი მთელ ღამეებს კლუბში კარტის თამაშში ატარებს, რომელი დეპუტატი რა კომბინაციებშია სპეკულიანტებთან და სხვადასხვა. ან იქნებ ფიქრობს დამფ. კრების მარჯვენა თუ „მარცხენა" ფრთა, რომ ამ სფეროში არაფერი ითქმის მათ შესახებ?! ნუ თუ მაგ. დასაშვებია ის, რაც ბ. შ. ნუცუბიძემ იკადრა გუშინდელ სხდომაზე ერთი ტომარა ფქვილის შესახებ?! და თუ არაა დასაშვები—ეს ხომ უტყუარი ნიშნებია ჩვენი ოპოზიციის სრული უძლურების და ზნეობრივი დაქვეითებისა, დამეთანხმებით რომ ის სისტემა ბრძოლისა, რომელიც აღმართეს ჩვენმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგენმა, ფრიად დამაფიქრებელია და გვინდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს მოწინააღმდეგე წრეებში კიდევ მოიპოვებიან საღი ელემენტები, რომლებიც ჩვენთან ერთად შეეცდებიან მიიღონ შესაფერი ზომები ამ ზნეობრივი გათახსირების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით ყურადღებით უნდა მოეპყრან ამ საკითხს ის პარტიები, რომლებიც თავის თავს სოციალისტებს უწოდებენ და აი იმ დროს, როცა ყველა არა სოციალისტური პარტიები ერთდებიან და უკვე შეერთდენ, ცხადია, სოციალისტების წინააღმდეგ საბრძოლველათ, ასეთი მეთოდი ბრძოლისა ჩვენს წინააღმდეგ არის ბრძოლა არა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, არამედ, ბრძოლა, საერთოდ, სოციალიზმის წინააღმდეგ.

გაჯანსაღება ბრძოლის მეთოდისა და ხასიათისა, ხელ აღებ უარყოფა იმ ანტი-მორალურ და უზნეო შინაარსის გამოსვლებისა და ბრძოლის პოლიტიკური და პროგრამული ხასიათის მიცემა—აი მოვალეობა ოპოზიციისა და მეტად სამწუხარო იქნება, თუ მან ვერ შეიგნო და შესძლო ეს..

გან.

დამფუძნებელი კრება

28 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ი. ფურცხვანიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ყოფილ უგანათლებულეს თავადის მინგრელსკის ქონების ჩამორთმევას.

გ. ციხკარიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი არტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონის ახალციხის მაზრასთან შეერთების შესახებ.

მუხლობრივ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი ქალ. ახალციხეში სამხედრო სამინისტროს სასურსათო მაღაზიის დაარსების შესახებ.

ი. ხაჭაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი შემოსავლის კვალობაზე გადასახადის საცხოვრებელი მინიმუმის რაოდენობის შეცვლისა.

განგრძობა მსჯელობისა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

შ. ნუცუბიძე (ს. ფ.) უკვე დიდი ხანია, რაც ქართველი საზოგადოება ელოდა არსებით ცვლილებას მთავრობაში, მაგრამ ეს მოლოდინი იმით დამთავრდა, რომ მთავრობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა და მოლოდინი მოლოდინათ დარჩა. მაგრამ ეხლა, როდესაც დამფუძნებელი კრება ასეთ ფაქტის წინაშე სდგას, ისმება საკითხი, თუ რათ იყო საჭირო მთელი ეს ინსცენიროვკა მთავრობის კრიზისისა, რატომ მოხდა ეს და ამაზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი: ჩვენს პირობებში, ჩვენს პოლიტიკურს მდგომარეობაში შეუძლებელია ბუნებრივი კრიზისი მთავრობისა და ამიტომ საჭირო მისი ხელოვნურათ შექმნა, გამოცხადება, ეს იყო მთავარი. რა ახასიათებს იმ ცვლილებებს, რომელთაც ჰქონდათ ადგილი მთავრობის შემადგენლობაში, მას ახასიათებს ისეთივე უსისტემობა, როგორიც სუფევს ჩვენი მართველობის სხვა დარგებშიაც. აქ არ იყო გეგმა, სისტემა, აქ ყველაფერს ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი. მაგ., რკინის გზის მინისტრი არ აღმოჩნდა, რადგანაც ერთმა პირმა ამაზე უარი განაცხადა და სხვა. ეს გამოხატულებაა მთელი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისა. ეს ცვლილება შედეგია ერთგვარი შინაგანი პარტიული ჭიდილისა. მაგრამ იგი არ არის არსებითი, ცვლილების დროს არ გაუწევიათ ანგარიში საზოგადოებრივი აზრისათვის (გრ. ურატაძე: საზოგადოებისათვის?) იგი მოითხოვდა ზოგ მინისტრების წასვლას, ისინი თავის ალაგას არიან, ზოგნი კი უფრო ამაღლეს იმ დროს, როდესაც არ ჰქონიათ საამისო დამსახურება. აქ მოსჩანს რაღაცა სხვა გავლენა და ამის შესახებ ჩვენ არას გვეუბნებიან. შემდეგ ორატორი აცხადებს, რომ ჩვენში არ არის დემოკრატიული მართველობა, არამედ არის ოლიგარხია განსაზღვრულ წრეებისა, ს.-დ. ფრაქციის ნაწილისა, ესევე მუშათა კლასშიც—ერთი ნაწილის და მისი აზრით ეს ჰქმნის უსისტემობის ნიადაგს, რაც არ არის სასურველი სახელმწიფოსთვის. უსისტემობა კი დიდია. ყველა უწყების მოღვაწეობას ემჩნევა იგი. ისინი შემთხვევიდან შემთხვევამდე სცხოვრობენ. მაგ. ფინანსთა სამინისტრო და სხ. რაც შეეხება ცალკე უწყების მეთაურების მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, აქ უნდა აღვნიშნო, რომ მომარაგების მინისტრის სიტყვამ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ერიძის ლაპარაკის დროს მე მომაგონდა რუსი მუშ. მინისტრი გვოზდიოვი და ერიძე იმაზე მაღლა დავაყენე. ეს ძლიერ კარგია. ეს დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს და ჩვენი პლიუსიც არის. და ეს იმის ნიშანიც არის, რომ ჩვენი მუშათა კლასი მომავალში საკუთარ ფეხებზე დადგება და შეიძლებს თავის თავის გამგებლობას.

შემდეგ ორატორი ეხება ზოგიერთ დეფექტს მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობაში, სხვათა შორის პურის ცუდათ გამოცხობას და აღნიშნავს მოხსენების დაგვიანებით გაკეთებას. მოხსენება მისი აზრით, დღემდე უნდა გაკეთებულიყო. ორატორი შემდეგ ეხება იუსტიციის სამინისტროს და აქ აყენებს რამდენიმე დებულებას, თითქოს მინისტრი ზეგავლენას ახდენდეს ზოგიერთი საქმეზე მაგ., კოშიცის საქმეში ჩარევას, პროკურორ ნატროშვილის, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებულია, დათხოვას, და 50 ტომარა ფქვილის მითვისებისათვის პასუხის გებაში მიცემული ჩიქვაიძის საქმეს, რომელთა შესახებ მაშინვე პასუხი გასცა იუსტიციის მინისტრმა.

იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე. მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! მე შევეხები იმ კონკრეტიულ ფაქტებს, რომლებიც წარმოადგინა დეპ. შ. ნუცუბიძემ.

არკოშიცის საქმეში მე ჩავერიე მხოლოთ იმიტომ, რომ გამომეძიებინა გამომძიებლის ბოროტ-მოქმედება და ამას ვაწარმოებდი პალატის პროკურატურის შემწეობით. მაგრამ შემდეგ ეს გამომძიებელი სამართალში იქნა მიცემული მექრთამეობისათვის და თვით ეს საქმეც ამით დამთავრდა. ამის გარდა მე სხვა არავითარი გავლენა არავისზე არ მომიხდენია.

რაც შეეხება პროკურორის ამხანაგს ნატროშვილს, რომელსაც მე წინადადება მივეცი სამსახურიდან გადადგომისა და რომლის შესახებ აქ თქვენ ვთომდა მას კოშიცის საქმეში მონაწილეობისთვის ვითხოვდე სამსახურიდან, უნდა განვაცხადო, რომ საქმე სულ წინააღმდეგია: მე პროკურორის ამხანაგ ნატროშვილს განვუცხადე, რომ მას არ ვითხოვ მხოლოდ იმიტომ, რომ კოშიცის საქმესთან ასე თუ ისე დაკავშირებულია მისი სახელი და რომ ამის გამო უსათუოთ ასტეხდენ განგაშს მეთქი. მისთვის წინადადების მიცემა გადადგომისა კი გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: როცა პროკურორმა წინადადება მისცა ამ პირს შეესრულებინა ზოგიერთი დავალებანი—მან ეს არ შეასრულა და დასძინა კიდეც: მე არ შევასრულებ, არც წავალ და თუ გინდა შენ წადიო. და შემდეგ, როცა ამის შესახებ მე მომივიდა ცნობა, მე ვსთქვი, რომ ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია, ან ერთი უნდა წავიდეს ან მეორე, მე პროკურორის ამხანაგის წასვლა ვარჩიე; ის არ დავითხოვე პირდაპირ, დავუნიშნე დრო ადგილის საშოვნელათ. როგორც ხედავთ, აქ არაფერი არ არის გასაკვირველი. ჩიქვაიძის საქმის

შესახებ მე შემდეგი უნდა განვაცხადო: ერთად ერთი ჩემი განკარგულება, რომელიც ჩიკვაიძის საქმეს ეხებოდა—იყო განკარგულება მისი დაპატიმრების შესახებ. მას რომ ბოროტ-მოქმედებაში ბრალი დასდეს—პროკურატურა მე შემეკითხა, და მე ფიცხლავ გავეცი განკარგულება მისი დაპატიმრების შესახებ. ამის შემდეგ მისი საქმის მე არაფერი ვიცი. მე საერთოდ არ ვერევი გამოძიების და სამართლის საქმეში. მის განთავისუფლების შესახებ მე არავითარი ბრძანება არ გამიცია, ხოლო თუ ვინმე ამას ამბობს: ეს ტყუილი ხმებია. გარეთ ბევრი ხმები ტრიალებს—მინისტრმა ეს სთქვა, ეს გაანთავისუფლაო და სხ. თვითონ საქმეს მე არ ვიცნობ, იგი არც არის ჯერ დამთავრებული, რომ შესაძლო იყვეს ანგარიშის გაწევა იმასთან, თუ რა უწერია მას უბის წიგნაკში. მას ბევრი რამის ჩაწერა შეეძლო უბის წიგნში, შეიძლება ჩაეწერა, რომ მე 100000 მ. მიმცა არც ის ვიცი, რომელმა მოწმემ რა აჩვენა. ყოველ შემთხვევაში გამოძიების შემდეგ ეს კაცი მიცემულ იქნება სამართალში და სასამართლო გამოიტანს საბოლოო მსჯავრს და მაშინ მეც შემიძლია მთელი საქმე წარმოგიდგინოთ და გაგაცნოთ. (ხმები: ეხლა კი გარეთ არის) დიახ, რესპუბლიკაში ბევრი დამნაშავე ციხეში ზის, ბევრი გამოშვებულია და ეს ბუნებრივია. ანთავისუფლებს ციხიდან გამომძიებელი ან სასამართლო და არა მინისტრი. ყველა საქმის ცოდნა მე, რასაკვირველია, არ შემიძლია. (ხმაურობა: კოშიცის საქმე) კოშიცის საქმე მე მხოლოდ იმიტომ მივაქციე ყურადღება, რომ გამომძიებლის ცუდ ყოფაქცევაზე მივიღე ცნობა. (ვეშაპელი:—მე რათ არ მომაქციეთ ყურადღება). იმიტომ, რომ თქვენმავე თანამოაზრემ მირჩა—ვეშაპელის გაზეთის ნალაპარაკევზე ყურადღების მიქცევა არა ჰღირს და მეც თავი დავანებე.

ამის შემდეგ ილაპარაკა მომარაგების მინისტრმა გ. ერაძემ, რომელმაც დაასრულა 21 დეკემბრის სხდომაზე დაწყებული სიტყვა.

ამ სიტყვის პირველი ნაწილი დღევანდელ ნომერში იბეჭდება.

საგ. საქ. სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობების თანახმად ბაქოში დაუხვრეტიათ შემდეგი ქართველი მოქალაქენი: ბიქტორ მირიანის ძე პლავსკი, პეტრე ადამის ძე საყვარელიძე, ირაკლი დიმიტრის ძე გომელაური, შალვა ივანეს ძე ხვიჩია, კონსტანტინე ლუკას ძე ქუთათელაძე, ანდრია ვარლამის ძე ჩხეიძე, რუბენ სარქისის ძე მახაროვი, გრიგოლ მაქსიმეს ძე დოლიძე, შალვა ანტონის ძე ლოლობერიძე და ალექსანდრე თურქაძე. მიხეილ სიმონის ძე ძიძიგურის შესახებ ცნობები არ მოსულა. პოლკოვნიკი ილია კონსტანტინეს ძე ნიჟარაძე ხოლმოგორის საკონცენტრაციო ბანაკში გაუგზავნიათ. (სდს).

როგორ ასრულებს ხელშეკრულებას ადერბეიჯანი?

იმ დროს, როცა ადერბეიჯანთან დადებული ხელშეკრულების თანახმად ბაქოში გაგზავნილია ჩვენი სამარშრუტო მატარებლები ნავთისთვის—ადერბეიჯანის რკინის გზაზე ასეთი დეპეშებია დაგზავნილი: 1) განჯა. ასლი: აქსტაფა-ფოილი. 6 დეკემბერი. „წინადადებას გძლევთ შეაჩეროთ ყველა იმ ვაგონების გადაცემა, რომელიც საქართველოს რკინის გზაზე გასაგზავნათ არის დანიშნული; საქართველოს მატარებლები, რომლებიც გზაში იმყოფებიან, დაკავებულ იქნან საგანგებო განკარგულებამდე გასანაწილებელ სადგურებზე“. 2) განჯა, ბაქო, დერბენტი. 9 დეკემბერი. „ვინაიდან შემცირდა ნავთის მარაგი და არც არის შესაძლებლობა, რომ ის შევსებულ იქნას ახლო მომავალში, წინადადება გძლევთ დატვირთულ მატარებელთა შემადგენლობის უნაყოფოდ გაჩერების თავიდან ასაცილებლად, მატარებელთა ორი შემადგენლობა საქართველოს რკინის გზებისა რომელიც, იმყოფება პირველი განყოფილების რაიონში, დაუყოვნებლივ გაცლილ იქნას განჯაში და ორი ამგვარივე დატვირთული შემადგენლობა გაგზავნილ იქნას დასაცლელად დერბენტში. დაცლის შემდეგ ოთხივე ცარიელი შემადგენლობა მატარებლებისა უნდა დაბრუნებულ იქნას ბაქოში ნავთით ასავსებათ და საქართველოში გასაგზავნათ“.

ანგორის მთავრობის წარმომადგენლობის ცნობა

საქართველოში დანიშნულმა ოსმალეთის ეროვნული კრების წარმომადგენელმა შემდეგი განაცხადა: უკანასკნელ დღეებში გაზ. „აზხატავორი“ აგიტაციას აწარმოებს ოსმალეთის პოლიტიკასა და ოსმალეთის და საბჭოთა რუსეთის კავშირის წინააღმდეგ და თავხედურად შეეხო საქართველოსა და ოსმალეთის კეთილ-მეზობლურ განწყობილებასაც კი. მე დიდის გაკვირვებით წავიკითხე ამ გაზეთის პროვოკაციული ცნობა იმის შესახებ, თითქოს ოსმალები ჯარს აგროვებდნენ საქართველოს საზღვრებთან, თითქოს ოსმალები ფიქრობდნენ მოკლე დროში შეტევის დაწყებას, და ცნობას ბეჭდავს იმ პროპაგანდის შესახებ, რომელსაც ვითომ ოსმალები აწარმოებდენ აჭარაში საქართველოს წინააღმდეგ. მე მოხარული ვარ საქართველოს პოლიტიკისა და პრესის შორსმჭვრეტელობის, რომელთაც შესაფერისად დააფასეს ამ ორგანოს მიერ გავრცელებული ცრუ ხმები ჩვენზე უფრო ადრე. ამაში მოსჩანს გამოცდილება და შორსმჭვრეტელობა საქართველოს დიპლომატიისა, რომელმაც საკმაოდ ნათლად წარმოიდგინა ამ გაზეთის პოლიტიკური ოინები. ამ გაზეთის ცნობების უარისყოფა მიმაჩნია ზედმეტად, რადგან ამ ორმა მთავრობამ და ხალხმა მშვენივრათ გაიცვნეს ერთმანეთი. (სდს).

კომუნისტები და დაშნაკლები

თფილისის სომხური გაზეთი „კარმირ ასტღ“ („წითელი ვარსკვლავი“) სწერს იმის შესახებ, თუ როგორ მოეპყრობა სომხეთის კომუნისტური პარტია დაშნაკურ ინტელიგენციას.

„ამ საკითხზე პასუხი მეტად ნათელი და გარკვეულია,—ამბობს გაზეთი. კომუნისტური პარტია დაშნაკურ ინტელიგენციას საბჭოთა სომხეთში მოეპყრობა სწორედ ისე, როგორც საბჭოთა რუსეთში მოეპყრენ ყველა სოციალ-მოღალატე პარტიების ინტელიგენციას ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

„კომუნისტური პარტია სასტიკათ მოეპყრო სოციალისტ რევოლიუციონერების და მენშევიკების მაღალ ჯგუფებს,—„პროლეტარულ“ და „რევოლიუციონურ“ პოლიტიკის მწარმოებელ ლიდერებს. იგინი განდევნილი და ქვეყნიდან გაგდებულ იქნენ. ეს ნიშნავს, რომ ისინი გაანცალკევეს ისე, რომ ესერების და მენშევიკების ძალა-უფლების აღდგენას, ახლა სერიოზულათ არავინ ჰფიქრობს და ყველაზე ნაკლებ ლაპარაკობენ ამის შესახებ პროლეტარული მასები).

„დაშნაკური ინტელიგენციის ბედი არ განსხვავდება სხვა სოციალ მოღალატე პარტიების ინტელიგენციის ბედისაგან.

რომ ჩვენი ვაჭრები და მრეწველები მზათ არ არიან ბოლშევიზმის მისაღებათ და რომ ჩვენ მრავალრიცხოვან მესაკუთრე გლეხობას თითქმის არავითარი მიდრეკილება არა აქვს კომუნიზმისა და სოციალურ რევოლიუციისაკენ. ცხადია, რომ ამგვარმა მრჩევლებმა მოახდინეს რენეგატებისა და ყალბი ძმების შთაბეჭდილება. (გამოტოვებულია) ძველ სოციალისტებს უხდება წასვლა დამამცირებელ გაჭირვებათა ატანის მუქარას გამო (გამოტოვებულია) მწუხარებით აღნიშნა თავის სიტყვაში სემბამ. როგორ შეეძლო საღათ მოაზროვნე ადამიანს მიეღო „ბუნტოვშჩიკების“ უაზრო პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ბოროტ-მოქმედებისა და რეაქციის მიზეზს. როგორ შეეძლო თავისუფალ ადამიანს კისერზე დაედო, წითელი იეზუიტების უღელი, რომელსაც მას შემდეგ, რაც პროპორციულ არჩევნების უფლება მიიღეს, როდესაც ისინი უმცირესობას წარმოადგენდენ, ამ ჟამად უარს აცხადებენ ამ უფლების სხვისადმი. მინიჭებაზე. როგორ შეუძლია დემოკრატს მიიღოს დამხობილ ცარიზმის ნაშთი, რასაც წარმოადგენს ფარული ანარქიული პროპაგანდა. როგორ მიიღებს სოციალისტი და სინდიკალისტი იმ მეთოდებს, რომელთაც ყველგან [illegible] სოციალიზმი და სინდიკალიზმი თავისი „იაჩეიკების შექმნით“ თავისი ფანატიზმითა და უარყოფით, რასაც უნერგავენ ხალხს ბოლშევიკები.

საბჭოთა მერვე ყრილობა

საბჭოთა მე-8 ყრილობამ დეკ. 28 სხდომაზე ერთხმად დაადგინა მთელი რესპუბლიკის ორგანოების ყურადღება მიაქციოს ნახშირის და სხვა ლითონების დამუშავების საქმის გაძლიერებას, რათა მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნეს ლითონითა და სათბობი მასალით. კერძოთ დონის ოლქის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ 1921 წლის განმავლობაში ამოღებულ იქნას არა ნაკლებ 600 მილიონი ფუთი ნახშირისა და დამუშავდეს 25 მილ. თუჯი. საბჭოთა ყრილობამ მიმართა უმაღლეს ორგანოებს, რათა მათ მიიღონ ზომები იმ მუშათა შრომის პირობების დასაცავათ, რომლებიც იქ მუშაობენ. გაგზავნოს დონსა და ურალში ტეხნიკური მასალები და იარაღები. ამ რაიონში უნდა მოეწყოს მუშათა სადგომები, და უნდა უზრუნველყონ მუშები სანოვაგით.

ამდენ ხანს ჩვენ ვლაპარაკობდით იმის შესახებ, თუ რა ვაკეთოთ. ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ უნდა ვაკეთოთ სახელმწიფო საქმეები, როგორ უნდა გადავაკეთოთ ჩვენი წყობანი, რომ შევასრულოთ ჩვენი მიზნები. 3 სამი წლის განმავლობაში ბრძოლის დროს, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა რუსეთი, შეფერხდა საბჭოების მოქმედება. წელი ვიბრძოლეთ არსებობისათვის, საუკეთესო ძალები ფრონტებზე გავგზავნეთ. ამის გამო შემცირდა ჩვენი წყებანი. ეს არის მიზეზი საბჭოთა მუშაობის შესუსტებისა. დასაწყისში, როდესაც პროლეტარიატმა ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება, საბჭოები წარმოადგენდენ მებრძოლ ორგანიზაციებს, მეორე ხანა დასრულდა ვრანგელის დამარცხებით. ქალაქისა და სოფლების მობილიზაციის ხანა... მე გადავათვალიერე მრავალი საბჭოთა ოქმები. ყოველგან ვხედავდი არსებით მუშაობას საბჭოთა საჭიროებისათვის.

ეს დრო თხოულობდა ენერგიულ ზომებსა და ჩვენ იძულებული ვიყავით დროებითი დაგვეტოვებია დემოკრატიული ცენტრალიზმი. ჩვენ გვეშოდა, რომ ურიცხვ მტრებზე გასამარჯვებლად საჭიროა ერთი სრულ-უფლებიანი ცენტრი. ჩვენ თანახმა ვიყავით ზოგჯერ დათმობაზედაც წავსულიყავით, რომ წითელი ჯარის გმირული ბრძოლა არ შეგვეფერხებია. მილიონობით მიდიოდენ მუშები და გლეხები საბჭოთა ძალა-უფლებისა დასაცავათ. მათ სურდათ განედევნათ ბურჟუაზია და დაეწყოთ სოციალისტური მეურნეობა. ამ ჟამად საბჭოები წარმოადგენენ იმ ორგანოს, რომელშიაც უნდა მოახდინონ სოფლისა და ქალაქების მობილიზაცია მეურნეობის საჭიროებისათვის. ჩვენი მტრები მენშევიკები და სოციალ-გამცემლები საზღვარგარეთ ხმებს ავრცელებენ, რომ ჩვენ გამსჭვალული ვართ ბიუროკრატიზმით.

ახალი ამბები

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან დაარსებულ მუშათა და კოოპერატიულ მოძრაობის კურსების გახსნა გადადებულია 1921 წ. 11 იანვრამდის. კურსების გახსნისათვის ყველაფერი მზად არის; გახსნის გადადება გამოიწვია რკ. გზელთა ყრილობამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს კურსების მსმენელთა საგრძნობი ნაწილი.

◆ **მთავრობის საქმეთა სამმართველო** აცხადებს, რომ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იღებს კერძო პირთ ორშაბათობით და ხუთშაბათობით 11—12 საათამდე. პროვინციიდან ჩამოსულ საზოგადოებრივ ორგანიზაციების და დაწესებულებების წარმომადგენელთ იღებს იმავე დღეებში და დროს, ხოლო სასწრაფო საქმეებზე ყოველ დღე რიგს გარეშე.

◆ **ბრძანება თფილისის გარნიზონისადმი.** 31 დეკემბერს ქართველ-სომხეთა ომის გათავების დღეს საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ყველა თავდადებულ ქართველ მხედართა მოსახსენებლათ სამხედრო ტაძარში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი. ვბრძანებ: ყველა სამხედრო ნაწილებმა, რომელნიც დგანან თფილისში გამოიყვანონ თითო ასეული უიარაღოთ სამხედრო ტაძარში 1 საათზე. ყველა ოფიცრებმა და სამხედრო მოხელეებმა, რომელნიც თავისუფალნი იქნებიან სამსახურის მოვალეობიდან, დაესწრონ პანაშვიდს. გარნიზონის უფროსი გენერალი **მაზნიაშვილი.**

◆ **განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის ბინაზე** დღეს, 30 დეკემბერს დილის 10 ს. დანიშნულია გაგრძელება ყველა საქარხნო კომიტეტების. კონფერენციის დღიურ წესრიგშია: ეკონომიური საკითხი და საქარხნო კომიტეტების ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება. სერიოზულ და რთული საკითხების გამო ყველა საქარხნო კომიტეტების წევრთა დასწრება სავალდებულოა. კომიტეტის წევრნი ამ დღის ჯამაგირს მიიღებენ.

◆ **გაფიცვა აფთიაქში.** რადგანაც ზენიამოვიჩის აფთიაქის (პუშკინის ბაღის პირდაპირ) მოიჯარადრე კოპილიოვიჩი არ დაემორჩილა რესპუბლიკაში არსებულ კანონებს შტატის შემოკლების შესახებ არ წარადგინა სია აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში, რომ ამის მიხედვით კავშირის გამგეობას შესაძლებლობა ჰქონებოდა თავისი შეხედულებით ადგილიდან მოეხსნა ის მოსამსახურე, ვისაც ის საჭიროდ დაინახავდა არსებულ კანონების თანახმად, [illegible] ბით ადგილიდან [illegible] მოსამსახურეები, რომლებიც მას პირადად არ მოსწონდა და კატეგორიული უარი განაცხადა არსებულ კანონების შესრულებაზე,—ამიტომ კავშირის გამგეობა თფილისის კავშირთა სეკრეტარიატის პრეზიდიუმის დასტურით აღნიშნულ აფთიაქში თავის კანონიერ მოთხოვნილების ცხოვრებაში გასატარებლათ მოაცხადა აფთიაქის მოსამსახურეთა გაფიცვა. კავშირის გამგეობა.

◆ **შაქრის ქარხანა.** შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოებამ აღძრა შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე მის გამგებლობაში იჯარით 3—5 ათას დესეტინა მიწის გადაცემის შესახებ. საზოგადოებას შაქრის ქარხნის აგება და ბორჩალოს მაზრაში ჭარხლის დათესვა აქვს განზრახული. შუამდგომლობა დასკვნისათვის სახელმწიფო მამულების განყოფილებას გადაეცა.

◆ **შობის ხეების შეძენა.** მიწათმოქმედების სამინისტრომ ბორჯომიდან მიიღო შობის ხეები, რომელიც გაიყიდება ქებაძის მაღაზიაში, რუსთაველის პროსპექტზე; პირველ რიგში დაეთმობ სასწავლებლებს, სამხედრო ნაწილებს, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს, საქველმოქმედო საზოგადოებებს და ბოლოს კი—კერძო პირთაც.

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** დღეს, 30 დეკემბერს, საღამოს 7 ს. ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩ. № 11, შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ფორმ. მაგ. ივ. ტყეშელაშვილი შემდეგ თემაზე: „საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი“.

◆ **მეტყევეთა პროფესიონალურ კავშირის** საორგანიზაციო კომისია პირველ და მეორე სამილიციო უბნებში მომუშავე კავშირის წევრთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ დღეს, 30 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე კავშირის შენობაში შესდგება აღნიშნულ უბნებში მომუშავეთა საერთო კრება. კომისია დაბეჯითებით სთხოვს ამხანაგებს კრებაზე ნუ დაიგვიანებენ. საორგანიზაციო კომისია.

◆ **სტუდენტთა კოოპერატივში** (რუსთაველის პროსპ. № 40) რიგდება წევრებზე მატყლი, აგრეთვე კარტოფილი, ხახვი, ლობიო. თუ წევრები არ მიიღებენ ერთი კვირის განმავლობაში, გაიყიდება არა-წევრებზე.

◆ **სტუდენტთა ჯგუფის** სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი „მომავალი“ გამოვა პირველ იანვარს.

◆ **ნავთი.** მუშათა მაგიდამ დაიწყო მუშა მოსამსახურეებისათვის ნავთის დარიგება. ოჯახს ეძლევა ერთი ფუთი 140 მანეთად. ჯგუფების წარმომადგენლებმა დაწესებულებების რწმუნებულების ბარათით უნდა მიმართონ მუშათა მაგიდას.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება ერობათა კავშირის კომიტეტის ბინაზე (რუსთავ. პროსპექტი №24) „პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ სადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად)“.—შემუშავებული დამფუძნებელი კრების თვითმართველობის კომისიის მიერ.

კრებები.

დღეს, 30 დეკემბერს საღ. 5 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. რაიონში არსებულ ქვეკოლექტივებს და

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

28 დეკემბერი.

გერმანული ცნობები

კარლ ლეგინის გარდაცვალების გამო

ცნობილ სოციალ-დემოკრატის კარლ ლეგინის უეცარ სიკვდილს დასტირის არა მარტო მისი ამხანაგები. კარლ ლეგინი 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გერმანიის პროფესიონალურ კავშირებს. პრესა აღნიშნავს მის დიდ ორგანიზაციულ ნიჭს. გერმანიის პრეზიდენტმა თანაგრძნობა გამოუცხადა პროფესიონალურ კავშირებს.

ფრანგული ცნობები

ფიუმეს გარშემო.

რომიდან იუწყებიან, რომ ტურინში ნაციონალისტებმა ისროლეს ყუმბარა სტამპას სახლში, რომელმაც დ'ანუნციოს წინააღმდეგი პოზიცია დაიჭირა. პარიზის გაზეთების კერძო ცნობები ამტკიცებენ უკანასკნელ 24 საათის მოსულ დეპეშების ცნობებს. ფიუმეს ახლოს მომხდარ ბრძოლას მეტად სასტიკი ხასიათი ჰქონდა. ყოველ სახლში ტყვიის მფრქვეველი იდგა და უშენდენ ცეცხლს რეგულიარულ ჯარებს. ორივე მხრით დიდი ზარალია. დ'ანუნციო ფრინავდა ჰაეროპლანით რეგულიარულ ჯარების ხაზის ზევით და ჰყრიდა პროკლამაციებს ჯიოლიტისა და კავალის წინააღმდეგ მიმართული გინებით.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

ტრანსპორტი.

მოსკოვი. ტროცკიმ ტრანსპორტის შესახებ სთქვა: მიუხედავათ იმისა, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე რკინის გზა. ომამდე წყლით გადაქონდათ 2200 მილიარდი ფუთი, რკინის გზით კი 2700 მილიარდი ფუთი. წარსულიდან ჩვენ მივიღეთ წყლით ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის 40—50%, მაგრამ არ მიგვიღია ამ ტრანსპორტით სარგებლობისათვის საჭირო გამოცდილება.

ლიონის ცნობები

საფრანგეთის სოციალისტები.

პარიზი. 29 დეკ. (დასაწყისი არ არის მიღებული) უშედეგოთ აღნიშნავდენ ისინი, რომ საფრანგეთი არ არის რუსეთი,

მომარაგების მინისტრის გ. ერაძის სიტყვა

წარმოთქმული დამფ. კრების 21 დეკ. სხდომაზე

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან).

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! არსებობს ერთი დებულება, რომლის ჭეშმარიტებას არსებული საზოგადოებრივი კლასები ერთნაირად აღიარებენ. ეს არის ის დებულება, რომ ყოველგვარი კრიტიკა უნდა იყოს პირუთვნელი, უომპოლი, მიუდგომელი და სამართლიანი. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველი საზოგადოებრივი კლასი ამ დებულებას სამართლიანად სცნობს,—ნამდვილად ყველა კლასი ერთნაირად პირნათლად და პირწმინდად ვერ ატარებს მას პრაქტიკულად ცხოვრებაში. რამდენადაც, მაგ., ბურჟუაზიული კლასი ულმობელი და დაუნდობელია სხვა კლასების დეფექტების აღნიშვნის დროს,—იმდენათვე იგი უზადოეკი, მშიშარა და ქალაჩუნაა თავის საკუთარ მოღვაწეობის დეფექტების აღიარების დროს.

რით არის ეს გამოწვეული?—იმით, რომ ბურჟუაზიას აქვს სხვა და სხვანაირი განწყობილება სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთან თუ კლასთან ეკონომიურ ნიადაგზე; ბურჟუაზიას არ შეუძლიან საკუთარი მოღვაწეობა სამართლიანად დააფასოს იმ დროს, როცა ხალხისა და ბურჟუაზიის ინტერესებს შორის უთანხმოება არის. როცა მისი მოღვაწეობა ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს, იგი იძულებული არის სთქვას არა სიმართლე იმიტომ, რომ მისი მოვალეობა არის დაიცვას საკუთარი კლასის ინტერესები, მუშათა კლასი, რომლის პარტიული წარმომადგენელი არის ჩვენი მთავრობა, არ არის ამ პირობებში ჩაყენებული. (ხმა ადგილიდან: ის არის ერის წარმომადგენელი'. დიახ, ერის წარმომადგენელი: მაგრამ ამავე დროს მუშათა კლასის პარტიული წარმომადგენელიც. მუშათა კლასს სიმართლის აღიარება თავის საკუთარ მოღვაწეობის შესახებ არ აშინებს, რადგან დეფექტების აღნიშვნით ეძლევა მას საშუალება, რომ თავისი შეცდომები გაასწოროს და ამით ხელი შეუწყოს ერის და საკუთარი კლასის კეთილდღეობას.

ის კრიტიკაში, რომელსაც აწარმოებენ ამ ორი თვის განმავლობაში მომარაგების სამინისტროს წინააღმდეგ, ჩვენ ვერ ვნახეთ დარბაისლური კრიტიკა ვერც ამ ტრიბუნაზე და ვერც პრესაში. უნდა ვაღიაროთ, რომ ერთად ერთი ჯგუფი, რომელმაც დარბაისლობა დაიცვა ამ საქმეში, იყო გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“ (სიცილი, ხმაურობა). ამის უმთავრესი მიზეზი, ალბათ ის გახლავთ, რომ ეს ჯგუფი დღევანდელ პირობებში გარიყული არის პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზიდან და რადგან იგი იმ ხანათ არ იყო ისე აქტიურათ ჩაბმული პოლიტიკურ ბრძოლაში ჩვენი კლასის წინააღმდეგ,—ამიტომ მან შედარებით უფრო შეინარჩუნა ობიექტივობა.

ბატონებო! დაცინვა, მასხარად აგდება პიროვნებისა გინდ უწყებისა არ არის და არსად არ ყოფილა საბუთი სიმართლის დაცვისა. მთელი ის წყება მასხარად აგდებისა, რომელიც გამოდიოდა ნაციონალ-დემოკრატებიდან და მათ გაზეთ „საქართველო“-დან,—რომ გუშინდელი პრიკაზჩიკები დღეს განაგებენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას და სახელმწიფოს საქმესო... (ვ. კედია: „ძალიან გეწყინათ?“). ..ეს დავა არის ისტორიული დავა მუშათა კლასსა და ჩვენს ბურჟუაზიას შორის. თქვენთვის მიუღებელი და შეუძლებელი არის, რომ გუშინდელი პრიკაზჩიკი, საპონიკი, დურგალი და კალატოზი სახელმწიფოს სათავეში იდგეს. ეს თქვენთვის მიუღებელი და მოუნელებელი არის; დავა თქვენსა და ჩვენს შორის არის ის დავა, რომელიც 25 წლის წინადაც არსებობდა. იგი დაიწყო ილია ჭავჭავაძიდან... როცა მუშათა კლასი პირველად გამოვიდა საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზზე, მას ილია ჭავჭავაძემ ნულები დაუძახა... (შ. ნუცუბიძე: თქვენ ზაპატებზე ილაპარაკეთ). ...და დღეს მას ეძახიან პრიკაზჩიკებს. ჭავჭავაძეს ჰქონდა თავისებური თეორეტიული საბუთი ელაპარაკა მაშინ მუშებზე ამგვარათ; მაგრამ დღეს, როცა ოცდახუთმა წელმა განვლო მას შემდეგ და ქართველმა მუშათა კლასმა დაამტკიცა თავისი პოლიტიკური სიმწიფე, განა გაქვთ უფლება ასეთი ლაპარაკისა? განა სამი წლის არსებობა ჩვენი სახელმწიფოსი იმას არ ამტკიცებს, რომ თქვენი ნათქვამი დარღვეული არის თვით ცხოვრების მიერ?

ადერბეიჯანში მეთაურობდა ბურჟუაზიული კლასი—ბეგები და კაპიტალისტები. მათ ვერ შესძლეს იმ უნარის და გამჭრიახობის გამოჩენა, რომ შეენახათ საკუთარი სახელმწიფო და დაეცვათ თავისი ერი.

სომხეთში სათავეში იდგა ბურჟუაზია: მათაც ვერ გამოიჩინეს უნარი და ენერგია, რომელიც საჭირო იყო ერის დასაცავად. აქ კი, საქართველოში, სადაც მუშათა კლასი დადგა სახელმწიფოს სათავეში,—სამი წელია აწარმოებს იგი თავის პოლიტიკას და მან თავისი შვენების და მომწიფების მეოხებით მოგვიყვანა დღემდე განა ეს პრაქტიკულად დამტკიცება არ არის იმისა, რისაც თეორეტიულათ წინაამდეგნი იყავით წარსულში?

(ხმა ადგილიდან: „რა შუაშია აქ ერადი“? გვაზავა. „აკი ამიტომ გვცნო ერთა ლიგამ“!) ამიტომ აბუჩად აგდება, სიცილის დაყრა იმაზე, თუ ვინ რომელ როლს თამაშობს წარმოებაში, არ არის საბუთი ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. როცა გინდათ დაამტკიცოთ რომელიმე დებულება, თქვენ უნდა მოიყვანოთ მხოლოდ საბუთები; ჩვენ კი თქვენგან ვერც გავიგონეთ და ვერც ვინახულეთ ეს საბუთები. მე ნება მიბოძეთ, რომ თქვენ უსაბუთობას დაუპირდაპირო საბუთები. „ვინც რომ თავი არ იცის, იგი ბოლოსაც ვერ გაიგებსო“—ეს ქართული ანდაზა თქვენთვის (მემარჯვენებისაკენ) საჭირო არის, რომ იცოდეთ. ვისაც უნდა პირუთვნელად დააფასოს მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობა,—მან არ უნდა დაივიწყოს ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური, ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა და არც ის მდგომარეობა, რომელიც იყო ამ ერთი წლის წინეთ.

მომარაგების სამინისტრო დაარსდა იმ დროს, როცა ჩვენში მეტად დიდი გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა იყო. რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად ეს მდგომარეობა?

მუშათა კლასმა გადადგა ნაბიჯი, რომელმაც იქონია დიდი და გადამწყვეტი გავლენა სახელმწიფოს ფინანსების მოწესრიგების საქმეში. იგი არ იყო უზრუნველყოფილი თუნდაც იმდენათ, რამდენადაც დღეს არის, ვინაიდგან, გარდა რკინის გზის მუშებისა და გარდა 4—5 ათასი თფილისის მუშებისა,—არავის არ ეძლეოდა სახელმწიფოსაგან პური. სწორედ ამ პურის უქონლობა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ მუშებმა განაცხადეს: „ბ—ნებო, არ გვინდა თქვენ მიერ ჯამაგირის მომატება, ოღონდ საქმე დააყენეთ ისე, რომ ჩვენ შეძლება მოგვეცეს პურის მიღებისა, ურომლისოდ ცხოვრება შეუძლებელია, რაკი ჯამაგირის გადიდება, ფულის გაღება არავითარ რეალურ გავლენას არ ახდენს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, პირიქით, ზედმეტი ბონების გამოცემა რევს ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობას,—ჩვენ ამაზე უარს ვამბობთ, ოღონდ პური მოგვეცითო“.

ეს პურის მიცემა არ იყო პატარა და ადვილი საქმე. ეს იყო უდიდესი საქმე და ამის მოწესრიგება იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ დავიწყეთ მუშაობა,—იყო მეტად ძნელი და მოითხოვდა ჩვენგან დიდ ენერგიას. მე მესმის, რომ ისეთმა ხალხმა გვითხრას არაფერი გაგიკეთებიათო, რომელსაც არავითარი წილი არ მიუძღვის მსოფლიო უბედურებაში; მაგრამ ხომ თქვენმა კლასმა (ბურჟუაზიამ) ხუთი წლის წინეთ ატეხა საერთაშორისო ომი, ქვეყანა მიანგრია-მოანგრია, რკინის გზები გაცვითა, წარმოება დაშალა, აუარებელი ოქრო-ვერცხლი გაფლანგა, მილიონობით ხალხი დაღუპა, მილიონობით დამახინჯდა და მსოფლიო უფსკრულის პირამდე მივიდა! აი ასეთი ხალხი ახლა მოგვდგომია და გვეუბნება: რატომ სამოთხე არ ააშენეთო! განა ჩვენ დანგრეული და ეკონომიურად განადგურებული ქვეყანა არ მივიღეთ სამემკვიდროთ? განა ჩვენ რომ სამოქალაქო ასპარეზზე გამოვედით,—ყველაფერი რიგზე იყო?!

როცა მომარაგების სამინისტრო დაარსდა,—მაშინ ჩვენი ქვეყანა იყო დამშეული. რაჭას შიოდა, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები დამშეული და განადგურებული იყო; თფილისის მაზრის ერთი ნაწილი დამშეული იყო, შორაპნის და სენაკის მაზრები ექვსი თვის შემდეგ დაიმშენ, ზუგდიდის მაზრის ერთი ნაწილი აგრეთვე ექვსი თვის შემდეგ დაიმშა. აი, ამდენი დამშეული მაზრა იყო ჩვენს პატარა ქვეყანაში. ჩვენი სახელმწიფო კი არ იყო ისე მოწყობილი, რომ ყოველი დარგი ის ყოფილიყო ჩამოყალიბებული, როგორც ეს სახელმწიფოსათვის საჭირო იყო. ამაში ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის. და განა ორი წლის განმავლობაში ჩვენ შევსძლებდით იმას, რასაც სხვაგან 100 წლის განმავლობაში აკეთებდნენ?! თქვენ თუ დაამტკიცებთ, რომ სახელმწიფოს არ ეჩნევა ტენდენცია წინსვლისა, განვითარებისა და განმტკიცებისა,—მაშინ სხვა საკითხია; მაგრამ სანამდის თქვენ ეს არ დაგიმტკიცებიათ,—უფლება არა გაქვთ ილაპარაკოთ—არაფერი გაკეთებულაო.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ შარშან სომხეთი აგრეთვე დამშეული იყო; ჩვენი საზღვრები კი ჯეროვნად არ იყო დაცული და ნახევარზე მეტი კახეთში მოსული პური გაზიდულ იქნა საზღვარ-გარეთ. ამ რიგათ, შიგნით შიმშილი, მეზობლებიც დამშეული:—აი, რა პირობებში ჩავაბარეთ ჩვენ მომარაგების სამინისტრო. ეს იყო იმ დროს, როცა ახალი მოსავლის პირველი პერიოდი უკვე გასული იყო და ყიდვის სეზონი გაშვებული. აი ამ პირობებში, როცა სახელმწიფო ფინანსიურად გაჭირვებული იყო, მომარაგების სამინისტროს არ ჰქონდა საშუალება, რომ თითიდან გამოეწოვნა პური... (ვ. კედია. „ეს უნდა ექნა“) ეს თქვენ თუ შეგიძლიათ,—ჰქენით თქვენი კლასისათვის, ვინაიდან ისიც დამშეულია. ჩვენ ეს არ შეგვეძლო. ჩვენ მიერ დასახული მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო შეძლება და ქონება. ეს კი, როგორც მოეხსენება დამფუძნებელ კრებას, ჩვენს სახელმწიფოს არ გააჩნდა. მას არ ჰქონდა საჭირო ოქრო, ვერცხლი, ისეთი ფული, რომლის გამოყენება შესაძლებელი იყო საზღვარგარეთ და რომლის საშუალებით საქონლის შეძენა შეიძლებოდა იქ.

როგორ იყო ის აპარატი, რომელიც ჩვენ დაგვხვდა?

სანამ მომარაგების სამინისტრო დაარსდებოდა,—არსებობდა სასურსათო ორგანიზაცია სულ 3 თვის განმავლობაში; მაგრამ ამ ორგანიზაციამ ამ ხნის განმავლობაში ვერ შესძლო სათანადო აპარატის მოწყობა. ამიტომ მომარაგების სამინისტროს დაარსება ნიშნავდა მხოლოდ მომარაგების მინისტრის დანიშვნას, ვინაიდან ჩვეულებრივ პირობებში, როცა ერთი მინისტრი მიდის და მეორე ინიშნება,—უკანასკნელს

იაჩეიკის წარმომადგენლებს ევალებათ დაესწრონ სხდომას. განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები.

— დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. სხდომას უნდა დაესწრონ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე ამხანაგები.

— მეორე რაიონული კოლექტივის სხდომა შესდგება დღეს საღამოს სრულ 5 საათზე ახალი დროით.

— დღეს, საღ. 5 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს სრულ 6 საათზე ქალთა მე-2-ე გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ბუნების-მეტყველთა და გეოგრაფიის მასწავლებელთა წრის სხდომა, წესრიგი: გეოგრაფიის მასალის განაწილება საშუალო და უმაღლეს სკოლათათვის.

ფრონტისთვის

მოქალაქე რედაქტორო! გიახლებთ ფრონტის ფონდისთვის 25 დეკემბერს გ. კოკაშვილის და შ. ზარნაძის ნადიმზედ შეგროვილ ფულს—ოცდა ერთი ათასი (21,000 მ.) *).

მონდობილობით **აქსენტი ჯანგვალაძე და ვანო ყენია.**

რატომ მოგვისპეს პური?

გაზ. „კომუნისტი" დაიხურა, რედაქცია და სტამბა დაიბეჭდა. მუშებიც დააკავეს, მაგრამ შემდეგ, გარდა ექვსი კაცისა, ყველანი (26 კაცი) გაანთავისუფლეს. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვითვლებით უმუშევრებათ, ვინაიდან წინდაწინ გვქონდა მიღებული ფული 10 იანვრამდე, არ ვყოფილვართ დათხოვილი და არც სალიკვიდაციო მიგვიღია. მიუხედავათ ამისა, ჩვენ შეგვიწყვიტეს პური, შაქარი და სხვა სანოვაგე მუშათა მაგიდიდან. რაშია საქმე,—არ ვიცით. ჯერ უფლებაც არა გვაქვს სხვაგან მუშაობისა, ვინაიდან ჯამაგირი მიღებული გვაქვს და სხვაგან მუშაობაც არ შეგვიძლია შრომის ხელშეკრულების ძალით.

ჩვენ მივმართეთ პროფ. კავშირს. კავშირის. მდივნის რჩევით გავგზავნეთ ჩვენი წარმომადგენლები მაგიდაში, სადაც მათთვის განუცხადებიათ, რომ თქვენ უმუშევრები ხართო,

შეიძლება ბოლშევიკები თავიანთ პარტიის წევრებს ეხმარებოდნენ კიდეც; მაგრამ ჩვენ, რომელნიც მათი პარტიის წევრები არა ვართ და არც გვინდა მათი წევრობა,—რა უნდა ვილონოთ. ნუ თუ შიმშილით უნდა მოვკვდეთ?

მ—დ—ა.

„წითელ" აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

რკინის გზა. აზერბეიჯანის რკინის გზების მდგომარეობა, უმთავრესად რკინის გზის ლიანდაგის, დიდათ დამაფიქრებელია. შპალები დალპა, ყრილი (насып) დაინგრა, რკინის გზის ხიდებიც მალე დაინგრევა. ყოველ გაზაფხულზე კავკავის ხაზს წყალდიდობა დიდ ზიანს აყენებს.

ამის გამო რევკომმა ნარკომპუტის მოხსენების შემდეგ დაადგინა: გამოცხადდეს დაუყოვნებლივ მობილიზაცია აზერბეიჯანში ყველა მცხოვრებ მამაკაცებისა 18—45 წლამდე რკინის გზაზე სამუშაოდ.

სხვათა შორის, ნარკომპუტის ბრძანებით ყველა უბილეთო მგზავრისათვის დაწესებულია იძულებითი მუშაობა რკინის გზებზე თვის განმავლობაში.

ბაქოს მილიცია. ბაკისპოლკომის განყოფილების უფროსის რ. გუსეინოვის ბრძანებაში ნათქვამია: „როგორც თვით მილიციის გამგეობაში, ისე რაიონშიაც ჩვენ ვხედავთ საქმის სრულ დეზორგანიზაციას; ზოგიერთ რაიონებს ისეთი პირები უფროსობენ, რომლებიც სრულიად არ შეეფერებიან ამ ადგილს; აქამდის კიდევ ვერ აღმოფხვრილა ძველი პოლიციური სულისკვეთება, მილიციის გარხწნის გამო მეტად გახშირდა ქურდობა და თავდასხმები; არის საბუთები ვიფიქროთ, რომ ყოველივე ეს ხდება იმ საზიზღარი ელემენტების მონაწილეობითაც, რომელნიც შეიპარნენ მილიციაში".

საქ. რკინის გზის დელეგატთა მესამე ყრილობა

28 დეკემბერს, საღამოს 6½ საათზე, ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში გაიხსნა საქართველოს რკინის გზის დელეგატთა მესამე ყრილობა. ყრილობას ხსნის რკინის გზის პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარე. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნოე ხომერიკი, ამხანაგებათ მ. ძამაშვილი და ი. თელია; მდივნებათ: ა. ჭყონია და ს. თავაძე. საპატიო თავმჯდომარეებათ: კ. კაუცკი, ნ. ჟორდანია და კ. ჩხეიძე. ყრილობის გახსნას დაესწრენ; დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე კ. ჩხეიძე, შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრი ნ. რამიშვილი, შრომის მინისტრის ამხ. ა. ბახტაძე, ა. ლომთათიძე, დამფუძ. კრების საგზაო კომისიის წარმომადგენელი გ. გაგლოევი, ვ. ჯუღელი და სხვები. ყრილობას შემდეგი მისასალმებელი სიტყვით მიმართა ყრილობის თავმჯდომარემ ნ. ხომერიკმა:

ამხანაგებო!

გმადლობთ ნდობისთვის, რომელიც გამოიცხადეთ. ამ არჩევით მე თქვენ დამაკისრეთ დიდი და მძიმე მოვალეობა. ვეცდები თქვენი დახმარებით იგი შეძლებისდაგვარათ შევასრულო.

მეტად რთულ პირობებში იკრიბება ეს ყრილობა. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცაზე შავი ღრუბლები იკრიბებიან, საქართველოს დემოკრატია იძულებულია იარაღით ხელში გამოვიდეს ქვეყნის სადარაჯოზე, ჩვენი დემოკრატიული სამშობლოს საზღვრებს მაგარ ჯავშანით გარს შემოერტყას, რომ მტერმა ადვილათ ვერ შემოანგრიოს მისი კედლები.

შინ კი ჩვენ განვიცდით დიდ ეკონომიურ გაჭირვებას. ყველაზე მეტათ მუშათა მასისათვის არის საგრძნობი ეს გაჭირვება, უპირველეს ყოვლისა მას ატყდება თავზე სახელმწიფოს ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი.

საქართველოს დემოკრატიის მტრებს სურდათ ამ გარემოებით ესარგებლათ. დემაგოგიური ლოზუნგებით და შეუსრულებელი დაპირებებით მიდიოდნენ ისინი მშიერ-მწყურვალ და შიშველ-ტიტველ მუშა მოსამსახურეებთან.

გარეშე მაყურებელთ ეგონათ, რომ ჩვენი მუშათა კლასი ამ დემაგოგიას აყვებოდა და მტრების მიერ დაგებულ ხაფანგის მსხვერპლი გახდებოდა, რომ ის თავის კლასიურ თვითცნობიერებას და დანიშნულებას დაივიწყებდა და მარტო კუჭის კარნახით დაიწყებდა მოქმედებას.

მარა ამას ვერ იფიქრებდა ის, ვინც იცნობს ჩვენს მუშათა კლასს, მის მოღვაწეობას, მის პოლიტიკურ წარსულს!

რა ახასიათებდა დღემდი საქართველოს გათვითცნობიერებულ პროლეტარიატის მოქმედებას? **მუშათა კლასის საბოლოო მიზნისა და დღიური, წარმავალი კერძო მოთხოვნილებების ერთმანეთში შეთანხმება.** მათ შორის კოლიზიას, წინააღმდეგობას ადგილი არასოდეს ქონებია. არ ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენი პროლეტარიატი აყოლოდეს წუთიერ გულისთქმას. ჩვენდა საამაყოთ უნდა განვაცხადო, რომ არ ყოფილა მის ცხოვრებაში მომენტი, როცა გაჭირვებას მისთვის კლასიური გონიერება წაერთმიოს.

ის ყოველთვის მზათ იყო უდიდესი მსხვერპლი გაეღო, თუ ამას მოითხოვდა ქვეყნის, დემოკრატიის ინტერესები და თუ ამავე დროს ამით არ იბღალებოდა კლასის საბოლოო მიზანი.

ეს ყრილობა, მისი შემადგენლობა ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ ფაქტს. და ამაშია სწორეთ მუშათა კლასის, მთელი დემოკრატიის და ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს სიმტკიცე და სიძლიერე.

სანამ საქართველოს რესპუბლიკას მხარში უდგია ეს მუშათა კლასი, მანამ ყვავ-ყორნები, მას რომ თავს დასჩხავიან, ვერაფერს დააკლებენ!

მტრებს ეგონათ, რომ მათ სწორეთ ახლა, ამ საშინელი გაჭირვების დროს დაუდგათ მოხერხებული მომენტი, როცა სასიკვდილო ლახვარს ჩასცემენ გულში საქართველოს მუშათა კლასს, როცა დაასამარებენ ჩვენი დიდი ხნის ნამუშევარს, ჩვენს თავისუფლებას და ყოველივე იმას, რასაც რევოლიუციის მონაპოვარს ვუწოდებთ და რისთვისაც ამდენი მსხვერპლი გაგვიღია.

მარა მათი მოლოდინი, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც ფუჭი გამოდგა! მათ იმედი ჰქონდათ, რომ რკინის გზის პროლეტარიატი—ეს ხერხემალი საქართველოს მუშათა კლასისა, როგორც თითონაც აღნიშნავდნენ, თავის ნაცად კლასიურ ბრძოლის გზას გადაუდგებოდა, სოციალიზმის წითელ დროშას უღალატებდა და ჩვენში ბარბაროსობას გაამეფებდა,

მარა ჩვენ ვხედავთ, ამხანაგებო, რომ ისინი ამ ბრძოლიდან საშინლათ დამარცხებული—და ვიტყვი—პირდაპირ განადგურებული გამოვიდნენ.

სხვაგვარ პასუხს რკ. გზის პროლეტარიატისგან ჩვენ არ მოველოდით. მუშათა კლასის მოწინავე რაზმი და რესპუბლიკის საიმედო ბურჯი სხვანაირათ ვერ მოიქცეოდა.

ამხანაგებო! ჩვენს დღის წესრიგში გასარჩევია მრავალი რთული საკითხი, მოსასმენია მოხსენებები წარსული მუშაობის შესახებ.

ეჭვი არ არის, ამ მუშაობაში იქნება დეფექტები და სუსტი მხარეები. მარა მუშათა კლასს არ ეშინია თავისი ნაკლულევანება თითონვე აღნიშნოს. პირიქით, მისი სიძლიერე სწორეთ იმაშია, რომ მას შესწევს უნარი და აქვს გაბედულობა თავის თავს კრიტიკა თითონვე გაუკეთოს, დასაწუნი-დაიწუნოს, ხოლო მოსაწონი—მიიღოს.

ამიტომ თქვენ აქ ილაპარაკებთ წარსული მუშაობის როგორც ღირსებაზე, ისე მის ნაკლზე, რათა მომავალში თქვენი მოღვაწეობა უფრო სწორი, უფრო მტკიცე დანაყოფიერი იქნეს.

დეე, იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, ჩვენ არ გვაფიქრებს ის გარემოება რომ მოგვიხდება თავის ნაკლზე ლაპარაკი.

დეე, იცოდეს ყველამ, რომ საქართველოს პროლეტარიატი და მისი ავანგარდი—რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები დღეს უფრო მტკიცეთ, ვინემ ოდესმე და უფრო ერთსულოვნათ, ვინემ გუშინ, სდგას თავის სახელოვან პოსტზე და პირნათლად ასრულებს ისტორიის მიერ დანაკისრ მოვალეობას. გაუმარჯოს მუშათა კლასს! გაუმარჯოს სოციალიზმს! გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

ამის შემდეგ ყრილობას მიესალმება **კ. ჩხეიძე.** მის გამოსვლას დელეგატები დიდის აღფრთოვანებით და ტაშის ცემით ეგებებიან. ის მიესალმა ყრილობას დამფუძნებელი კრების სახელით და ამბობს: მე დარწმუნებული ვარ, რომ დამფუძნებელი კრება, განურჩევლად ფრაქციებისა, დიდ მნიშვნელობას აძლევს თქვენს ყრილობას. ის დარწმუნებულია, რომ თქვენ სათანადო პასუხს გასცემთ ყველა იმ კითხვებს, რომელნიც თქვენ წინაშე სდგას გადასაჭრელათ. თქვენი ყრილობის დადგენილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და თქვენ უნდა გადადგათ ისეთი ნაბიჯები, როგორიც ესაჭიროება საქართველოს მუშათა კლასს.

მე ახლად დაბრუნებული ვარ ევროპიდან და ვფიქრობ, რომ თქვენ გაინტერესებთ საკითხი, თუ როგორ უყურებს დასავლეთი ევროპა საქართველოს და აქცევს თუ არა მას ყურადღებას. შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ დიდი ევროპა არ მიაქცევს ყურადღებას ისეთ პატარა ერს, როგორიც არის ქართველი ერი, მაგრამ მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ასეთი აზრი შეცდარი იქნება.

მას შემდეგ, რაც ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, დიდი ხანი არ არის და ამ დროს განმავლობაში ჩვენ ცდას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საქართველოს არავინ ყურადღებას არ აქცევდა, მას არც იცნობდნენ, როგორც სახელმწიფოს, ერს, და გვიყურებდნენ, როგორც დიდი რუსეთის ნაწილს. არავინ ყურადღებას არ აქცევდა, თუ რას ვაკეთებდით ჩვენ. ასეთი იყო მდგომარეობა მაშინაც, როცა ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ. დღეს ჩვენ ანგარიშს გვიწევენ, გვიცნობენ, როგორც ერთეულს, სახელმწიფოს, გვიცნობენ როგორც ხალხს, რომელსაც ჰქონია დიდი ისტორია წარსულში. ჩვენ გვიცნობენ როგორც ერს, რომელსაც ერთ ხელში ჰქონია იარაღი და მეორეში თოხი. ჩვენ გვიცნობენ, როგორც ხალხს, რომელსაც დიდი ტრაგიკული წარსული ჰქონია, მაგრამ ის იცავდა თავის დამოუკიდებლობას, თავის ნამუშევარს, ჩვენ გვიცნობენ, როგორც ხალხს, რომელსაც არ ყვარებია სისხლის ღვრა, რომელსაც შეუძლია მეზობლის გატანა, გვიცნობენ როგორც გულკეთილს, რომელსაც სხვისთვის არაფერი წაურთმევია. ასე იცნობენ დასავლეთ ევროპაში ჩვენს წარსულს, ასე იცნობენ ჩვენს აწმყოს. იცნობენ ჩვენს ახლო წარსულსაც, რომ საქართველო შეადგენდა ნაწილს სახელმწიფოსას, რომელსაც ტირანი განაგებდა და ამ ტირანის წინააღმდეგ იბრძოდა საქართველო. გვიცნობენ ისე, როგორც ხალხს, რომელიც რუსეთის ხალხთან ერთად იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ათასობით ციხეებში იხოცებოდა. იციან, რომ საქართველომ, რუსეთის ხალხთან ერთად დაამხო და გაანადგურა რუსეთის ტირანი. ჩვენ გვიცნობენ როგორც ხალხს, რომელიც ღირსია შეინარჩუნოს რევოლიუციის მონაპოვარი, შექმნას სახელმწიფო და აქ გაამაგროს ნიადაგი საბოლოო ბრძოლის გასაფართოებლად. გვიცნობენ როგორც ერს, რომელიც სამი წლის განმავლობაში იცავს თავის დამოუკიდებლობას. გვიცნობენ როგორც ერს, რომელიც სხვას არაფერს არ იმევს, მაგრამ თავისას არავის დაუთმობს. იციან, რომ ჩვენ არ გვინდა სხვისი ბაზარი, სხვისი ტერიტორია, რომ ჩვენ ვახორციელებთ დემოკრატიულ პრინციპებს, რომ ამ გზით მივდივართ სოციალიზმისაკენ და შემდეგ ვუერთდებით სხვა ერებს. იციან ისიც, რომ ჩვენ არ გვასვენებენ, საშუალებას არ გვაძლევენ ამ გზით ვიმუშავოთ.

თქვენ არ იფიქროთ, რომ მე რაიმეს ვაჭარბებდე, მაგრამ თუ სამი წლის წინათ ევროპიელები კითხულობდნენ ვინ არის საქართველო, რა ხალხია ქართველებიო, დღეს მათ იციან ყოველივე ის, რაც მე გითხარით. მათ იციან, რომ ჩვენ ვერ გაგვიტაცებს მაღალი ლოზუნგები თუ არა გვაქვს გათვალისწინებული, რომ მისი განხორციელება შეიძლება, რომ ჩვენი ხალხი მსჯელობს საღი გონებით. მათ კარგათ იციან, რომ ჩვენი ხალხი დიდ განსაცდელშია გარედან, რომ ეს საფრთხე ჩვენ მოგველის ჩრდილოეთიდან, იქიდან, სადაც ჩვენ ციხეებში ვლპებოდით. ჩვენ ეს საფრთხე მოგველის იმ ქვეყნიდან, სადაც გაისმის მაღალი ლოზუნგები, ხოლო საქმით კი ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის.

და ევროპა უცდის, თუ რა იქნება მომავალში. ის უცდის იმას, თუ რას იტყვით თქვენ დღეს აქ. შეიძლება მე შემთხვევა მექნეს თქვენთან ლაპარაკის და დაგიმტკიცებთ, რომ ყოველივე ის, რაც მე გითხარით, გადაჭარბებული არ არის. ევროპა უყურებს დღეს, თუ რას იზამს საქართველო ამ გასაჭირის დროს და თქვენ სიტყვას აქ უდიდესი მნიშვნელობა ექნება; მას შეუძლია ასწიოს ვალიუტის ღირებულება. შეიძლება თქვენ ვერ გრძნობდეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენს სიტყვას, მაგრამ მე გარწმუნებთ, რომ ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

ამის შემდეგ ყრილობას ესალმებიან: მთავრობის წარმომადგენელი შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრი ნოე რამიშვილი, საქ. სოც. დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სახელით ალ. ლომთათიძე, სახალხო გვარდიის სახელით ვალიკო ჯუღელი, შრომის მინისტრის ამხანაგი ა. ბახტაძე, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის სახელით—შ. აბდუშელიშვილი.

ამ დროს შემოდიან კარლ კაუცკი და აკაკი ჩხენკელი. დელეგატები ფეხზე ადგომით დაუსრულებელი ტაშის ცემით ეგებებიან კ. კაუცკის. კაუცკი ესალმება ყრილობას (მისი სიტყვა შემდეგ დაიბეჭდება).

შემდეგ მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ აკაკი ჩხენკელი, გზათა კომისიის წარმომადგენელი მ. გაგლოევი და რკინის გზის სამმართველოს წარმომადგენელი აბელაშვილი.

ყრილობამ წერილობით მისალმებები მიიღო: მეორე იმერეთის ათასეულის რკინის გზის გვარდიელებისაგან და საქართველოს კოოპერატივთა კავშირისაგან. დადგენილ იქნა მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს: კ. კაუცკის, ნ. ჟორდანიას, სახალხო გვარდიას და ჯარს.

არჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი სამანდატო კომისია.

კრება დაიხურა საღამოს 9 საათზე.

(შემდეგი იქნება)

ტფილ. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კრებაზე

26 დეკემბერს, მეორე სახელმწიფო თეატრის შენობაში შესდგა ტფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა 5 დეკემბრის საზოგადო კრების გაგრძელება. დღის წესრიგში დასმული იყო: 1) კოლექტიური ხელშეკრულება და 2) ეკონომიური საკითხი.

პირველი კითხვა გადაჭრილი იყო 5 დეკემბრის კრებაზე. 26 დეკემბრის კრებამ მოისმინა დამფუძნებელი კრების იურიდიული კომისიის პასუხი კრების პრეზიდიუმის შეკითხვაზე. იურიდიული კომისია თავის პასუხში განმარტავს, რომ კანონი კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ ვრცელდება სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა მუშა-მოსამსახურეებზე. არ ვრცელდება მხოლოდ ადმინისტრატორებზე და სხვა. ასე რომ, დაწვრილებით არ იყო ნაჩვენები, თუ ვისზე, რომელ მოსამსახურეებზე არ ვრცელდება კანონი, მხოლოდ პრინციპიალურად ის დადებითად იყო გადაჭრილი. განუმარტა რა ეს საზოგადო კრებას, მომხსენებელმა, მოუწოდა ყველას ხელი შეეწყოთ ცხოვრებაში მისი გატარებისათვის. კრებამ დაადგინა: ხსენებულ განმარტების ასლი პრეზიდიუმმა დაუგზავნოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებების უფროსებს სახელმძღვანელოთ. ამასთანავე ერთად მიენდოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრთან არსებულ იურიდიულ კომისიას, კავშირის წარმომადგენლებთან ერთად გამოარკვიოს, თუ ვისზე ვრცელდება ხსენებული კანონი.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ყველა ორატორები, რომლებმაც კი ილაპარაკეს ხსენებულ კრებაზე, განურჩევლად მიმართულებისა, ერთხმად აღიარებდნენ, რომ მუშების მდგომარეობა აუტანელია და მას რამე მალამო უნდა დაედოს. ამ საკითხში არ იყო განსხვავება, მაგრამ მოლაპარაკენი შორდებოდნენ ერთმანეთს იქ, სადაც დაისმებოდა კითხვა ამ მდგომარეობიდან გამოსავალი გზის შესახებ. ყველა პარტიები, გარდა მენშევიკებისა, მოითხოვდნენ, სხვა დახმარებასთან ერთად, ბონების ხელახლად მოჭრას და მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების მომატებას. მენშევიკები კი უარყოფდნენ ამ უკანასკნელ საშუალებას, მიუთითებდნენ კრებას იმ დამღუპველ შედეგებზე, რომელიც მოჰყოლია და მომავალშიაც აუცილებლათ მოჰყვება ამას და ითხოვდნენ სურსათ-სანოვაგის მოსამსახურეებისადმი სისტემატიურად მიწოდებას.

აქვე ბრძანდებოდა ბ-ნი თედო ღლონტი. მან მოისმინა კრების აზრი, გაეცნო იმ სხვადასხვაობას, რომელიც არსებობდა ბონების მომატების ირგვლივ და ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ თავისი „ავტორიტეტული" სიტყვით მიმართა კრებას. მან „დაუმტკიცა" საზოგადოებას, რომ ყოველივე ის, რაც დღეს ხდება ეკონომიური საკითხის ირგვლივ ჩვენს რესპუბლიკაში, მართველი პარტიისა და მთავრობის ბრალია და რომ ისინი არ განაგებდნენ საქმეს, ყველაფერი რიგზე იქნებოდა მოწესრიგებული. და ამის „დასასაბუთებლათ" მან სთქვა:

---

*) ფული მივიღეთ. რედ.

მოწყობილი აპარატი ხვდება. მომარაგების სამინისტროს მიმართ კი ეს არ ყოფილა. საქმეები კი მეტად საძნელო დაეკისრა. ქვეყნის გამოკვება, მუშა-მოსამსახურეთათვის საჭირო საგნების შეძენა, მინისტრისათვის უაპარატობის გამო მეტად საძნელო იყო და ვინც უნდა ჩამდგარიყო ამ საქმეში,—ყველასათვის ძნელი იქნებოდა ამ საქმის მოგვარება.

ჩვენ პირველად ყოვლისა დავაყენეთ საკითხი: რა უნდა გვეკეთონა? და მაშინათვე ჩამოვწერეთ ის, თუ რა იყო საჭირო, რომ ჩვენ მიერ დასახული მიზანი კონკრეტიულად განგვეხორციელებინა. იმ ამონაწერიდან, რომელსაც მე თქვენ წაგიკითხავთ, თქვენ დაინახავთ, თუ რა დიდი, ბუმბერაზი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი მომარაგების სამინისტროს. თქვენ სწორედ ამ საქმიდან დაინახავთ, თუ რამდენათ მძიმე და პასუხსაგები მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული მომარაგების სამინისტროს. რაში გამოიხატებოდა ჩვენ მიერ დასახული პროგრამა მინიმუმი? ჩვენ უნდა გაგვეძღო ჯარი, მისთვის ნაანგარიშევი იყო 600 ათასი ფუთი პური; მუშა-მოსამსახურეთ, რომ 1½ გირვანქა პური მიეღოთ საჭირო იყო 1 მილიონი 800 ათასი ფუთი ხორბალი; ავათმყოფთათვის და დასახიჩრებულთათვის საჭირო იყო 130 ათასი ფუთი, სულ 2 მილიონ 530 ათასი ფუთი. მაშინდელი კურსით რომ ვიანგარიშოთ, ამას სჭირდებოდა **1 მილიონი 687 ათასი გირვანქა სტერლინგი.** და თუ დღევანდელ ფასებზე ვიანგარიშებთ, გამოვა 8 მილიარდი 435 მილიონი მანეთი გარდა ამისა საჭირო იყო ცხენებისთვის ფურაჟი 586 ათასი ფუთი; ამას უნდოდა **115** ათასი გირვანქა სტერლინგი; საჭირო იყო მუშა მოსამსახურეთათვის, ჯარისა და გვარდიისათვის 130 ათასი ფუთი ბრინჯი. ამას სჭირდებოდა **75 ათასი გირვანქა სტერლინგი.**

გარდა ამისა გვჭირდებოდა 1 მილიონი ფუთი მარილი, რისთვისაც საჭირო იყო 68 ათასი გირვანქა სტერლინგი. ზეთი—80 ათასი ფუთი—60 ათასი გირვანქა სტერლინგი; შაქარი მუშა-მოსამსახურეთ და გვარდია-ჯარისთვის 120 ათასი ფუთი, რაც მოითხოვდა 120 ათას გირვანქა სტერლინგს. საპონი 80 ათასი ფუთი—80 ათასი გირ. სტერლ. ნავთი 3 მილიონი ფუთი—150 ათასი გირვანქა სტერლინგი; ასანთი—4 მილიონი პაჩკა—34 ათასი გირვანქა სტერლინგი; ფეხსაცმელები ჯარისათვის, გვარდიისა და მუშა-მოსამსახურეთათვის—210 ათასი წყვილი; აქედან ვფიქრობდით შიგნით, რესპუბლიკაში გაკეთდებოდა 50%, ამ საქმისთვის საჭირო იყო 78 ათასი 750 გირვანქა სტერლინგი. საჭირო იყო ტყავი 10 ათასი ფუთი, ამას უნდა 52 ათასი 500 გირვანქა სტერლინგი. ტანსაცმელით 2 მილ. 100 ათასი არშინი შალეულობა (სულზე გამოანგარიშებული გვქონდა 5 არშინი) 525 ათასი გირვანქა სტერლინგი; ჩითეულობა ჯარის კაცებისათვის—20 არშინი თითოს და მუშებისათვის—10 არშინი სულზე,—სულ 4 მილიონ 200 ათასი არშინი, 210 ათასი გირვანქა სტერლინგი. სახელმწიფოსათვის ქაღალდი—100 ათასი ფუთი—50 ათასი გირვანქა სტერლინგი. სულ—3 მილიონი 405 ათასი 250 გირვანქა სტერლინგი, ანუ—17,026,250,000 მან. როდესაც შევატყვეთ, რომ ასეთი დიდი თანხა დაიჭირა და სახელმწიფოს ამის საშუალება არა ჰქონდა,—დავანებეთ თავი სხვა საგნების სიაში შეტანას.

ჩვენ დაგვრჩა აუარებელი საგნები, რომელიც აგრეთვე საჭირო იყო სახელმწიფოსათვის, როგორც მაგალითად: მანქანები, რკინეულობა, ფოლადი, ბენზინი, ლურსმანი, შინები, ბაწარი, კანაფი, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღები. გარდა ამისა საერთოდ სახელმწიფოსათვის, გლეხკაცობისათვის საჭირო აუარებელი მანუფაქტურა და სხვა.

აი ის, რაც ჩვენ არ ვიანგარიშეთ და არც ჩავწერეთ, ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვეძლო ისეთი მიზანი დაგვესახა, რომელსაც ვერ განვახორციელებდით მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ეს საგნები აუცილებელი იყო და შეადგენდა მინიმუმს ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ეს მინიმუმი ჩვენ უნდა გვერდზე გადავედო, ვინაიდან ჩვენ სახელმწიფოს ამის უნარი არ ჰქონდა. შიგნით სახელმწიფოში ამის შოვნა არ შეიძლებოდა, იგი უნდა მოგვეტანა საზღვარ გარეთიდან და ამას კი უნდოდა ოქრო და უცხოეთის ვალიუტა. ეს ვალიუტა ჩვენ არ მოგვეძებნებოდა და რა უნდა გვექნა? იმ მოვალეობის შესასრულებლათ კი, რაც ჩვენ მიზნათ დავისახეთ და რაზედაც მე მოგახსენებდით, საჭირო იყო გადაგვეწყვიტა ერთი საკითხი: რომელი გზა უნდა აგვერჩია—კონსტიტუციონური თუ რევოლიუციონური (სპ. კედია: „რასაკვირველია, რევოლიუციონური"). ავიღოთ ჩვენ კონსტიტუციონური გზა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მომარაგების სამინისტრო ვერ გადადგამდა ვერც ერთ პრაქტიკულ ნაბიჯს, სანამ იგი წინა დღითვე არ შეიმუშავებდა დაწვრილებით შტატებს და სხვ. ეს პროგრამა და ეს შტატები უნდა დაემტკიცებინა კონტროლს და შემდეგ უნდა შემოსულიყო დამფუძნებელ კრებაში. (სპ. კედია: „მეტი ბარგი არის ეს, არა?") თვით ამ აპარატის მოწყობა, წარმოება იმ პირობებში, იმ გზით, როგორც ეს ჰსურს ბ-ნ კედიას, არ შეიძლებოდა. მაშინ ჩვენ უნდა მოვქცეულიყავით ისე, როგორც მოიქცა სახელმწიფო ბანკი. ცხრა თვის განმავლობაში ჩვენ ვამუშავებდით პროგრამას, ვაწყობდით შტატებს, 9 თვის განმავლობაში ვეძებდით თანამშრომლებს და მხოლოდ 9 თვის შემდეგ, როდესაც მზა-მზარეული იყო შენობა, თანამშრომლები თავის ადგილს, შტატი შეკრებილი, მოწონებული ყოველ მხრივ და აწონ-დაწონილი,—მან წინა დღით გამოაცხადა, რომ დაიწყებს იგი მოღვაწეობას და აი მხოლოდ ყველა ამის შემდეგ შეუდგა მუშაობას. აი გზა ნორმალური, ნამდვილი, საფუძვლიანი, რაზედაც უნდა შესდგეს ყოველი ორგანო, რომელიც ისახავს მიზნათ ამისთანა დიდი საქმის განხორციელებას. მაგრამ ამ გზით სიარული არ შეეძლო ჩვენს სამინისტროს და არ შეეძლო სიარული იმას, ვინც არ არის დაინტერესებული ამ საქმეში როგორც ვაჭარი, რომელიც იყიდის და გაყიდის დღეს, თუ ცხრა თვის შემდეგ. მისთვის არა აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა თუ იგი ფულს მოიგებს, როგორც იმ ორგანოსათვის, რომელიც გამოდის არა მარტო როგორც შემსყიდველი, არამედ აგრეთვე როგორც მომხმარებელი. ჩვენ რომ ვყოფილიყავით მხოლოდ შემსყიდველი იმ საგნებისა, იმ საქონლისა, რომელიც უნდა მიგვეწოდებინა სახელმწიფოსათვის,—ჩვენ დალაგებით შეგვეძლო შტატების გამომუშავება კონტროლის მოწონებით და შევდგომოდით ამ საქმეს; მაგრამ ჩვენს წინ იდგა ასეთი საკითხი: ან უნდა იაროთ თქვენ გადაჭრილი, პირდაპირი, რევოლიუციონური გზით და იხსნათ სახელმწიფო გაჭირვებისაგან, ან უნდა შეუდგეთ ამ გზას კონსტიტუციურათ და ვერაფერი გააკეთოთ, რაზედაც ბ-ნი კედია გვითითებს. ეს გზა ჩვენ უკუ ვაგდეთ. მდგომარეობა რომ სერიოზული იყო, მეტად საძნელო, ეს იქიდან სჩანს, რომ ჩვენ დიდი შიში გვქონდა, რომ ჩვენი ხალხი არ დამშეულიყო, ვინაიდან ჩვენ საწყობებში მომარაგებული არაფერი გვქონდა. აიღეთ თქვენ და ნახეთ ის ოქმი, რომელიც დაიწერა მაშინ, როდესაც მომარაგების სამინისტროს გადაეცა ძველი ქონება, ძველი ორგანიზაცია. იქ არის ჩაწერილი, რომ გვარდიას ჰქონდა ოცი დღის საზრდო იმ დროს, როდესაც იგი ინახავდა 2 ათას კაცს; ჯარს კი—სამი დღის საზრდო. (**გრ. ვეშაპელი.** „პროპორცია ისეთივეა, როგორც ჯარსა და გვარდიას შორის".) ხოლო მუშებს კი—5 დღისა. აი ასეთ პირობებში ჩვენ წინ იდგა შიმშილის საკითხი და როდესაც ის 250 მილიონი მანეთი სასწრაფოდ და საჩქაროდ მიიღო დამფუძნებელმა კრებამ და ამით იგიც სცნობდა მაშინ მდგომარეობას მეტად სერიოზულად და აი, იმ გზაზედ, რომელზედაც ბ. კედია გვითითებს, თვით დამფუძნებელი კრებაც არ შედგა, რადგანაც გათვალისწინებულ იქნა, რომ მდგომარეობა თხოულობდა სწრაფ მოქმედებას, რომ საჭირო იყო გადაჭრით ხელის შეწყობა, გამოქომაგება. 250 მილიონი მან. რომ მივიღეთ, ჩვენ განზრახვა გვქონდა ეს ფული მოგვეხმარებინა თხილსა და ბრინჯზე, რადგან ვფიქრობდით, რომ თუ არ მოეწყობოდა კარგათ საქმე და ჩვენ ქვეყანაში არ გვექნებოდა საშუალება გვეშოვა პური მუშა-მოსამსახურეთა და ჯარისა და გვარდიისთვის და რომ შიმშილით არ დავხოცილიყავით,—ბრინჯი და თხილი მაინც გვქონოდა მომარაგებული. აი ის კრიტიკული და სერიოზული მდგომარეობა, რომელიც პირველ პერიოდში დღიდან დაარსებისა მომარაგების სამინისტროს შეხვდა და შეეჯახა. ამ პირობებში ჩვენ შევუდექით ჩვენს მოღვაწეობას. ჩვენ ვთქვით, რომ დასახულ პროგრამის მინიმუმის განხორციელება ჩვენთვის შეუძლებელია. ჩვენ ვერ შევძლებთ დავამზადოთ რესპუბლიკაში იმდენი პური, რაც საჭიროა ჩვენი სახელმწიფოსათვის. ერთად ერთი საზრუნველი უნდა გვქონოდა ჩვენ ის, რომ გვეფიქრა საზღვარ გარეთიდან პურის შემოტანაზე. საზღვარ გარეთიდან პურის მოტანა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ბლოკადა არ იყო მოხსნილი, ვაჭრობა არ იყო ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებული და გზა არ იყო გახსნილი ევროპისაკენ,—რასაკვირველია, ესეც საძნელო საქმე იყო; მაგრამ შედარებით შინაურ პირობებთან, ეს გზა საჭირო საგნებისა და ხორბლეულობის შესაძენათ იყო შედარებით უფრო რეალური და უფრო მიზანშეწონილი. რაკი ამისათვის აუცილებლათ საჭირო იყო ქონება, სიმდიდრე ან უცხოეთის ვალიუტა,—ამიტომ უმთავრეს მიზნათ მომარაგების სამინისტრომ დაისახა ამ ვალიუტის შეძენა. როგორ უნდა შეგვეძინა ეს ვალიუტა? ხაზინას იგი არა ჰქონდა, თვით საკრედიტო დაწესებულება იმავე მდგომარეობაში იყვნენ, რა მდგომარეობაშიაც თვით სახელმწიფო იყო. ერთად ერთი გზა, ერთად ერთი საშუალება, რომელსაც შეეძლო გაემაგრებინა ჩვენთვის ზურგი, იყო ის საქონელი, რომელიც არსებობდა სახელმწიფოში და რომლის ვაჭრობა, შესყიდვა და განაწილება მიენდო მომარაგების სამინისტროს. მისი მომარაგება და ვაჭრობა ახლა თქვენ წარმოიდგინეთ რამდენათ საძნელო უნდა ყოფილიყო და რამდენათ ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო ის ოპერაციები, რომელიც მომარაგების სამინისტროს უნდა გაეწია, იმისთვის, რომ თქვენ მიერ აღებულ საქონელზე აგეღოთ უცხოეთის ვალიუტა. საჭირო იყო **4—6** თვე რომ გაგვენაღდებინათ იგი. შესყიდვა, შენახვა, ბაზრის მოძებნა, მიტანა, მისი გაყიდვა, განაწილება—ამისათვის საჭირო იყო ხანგრძლივი დრო. ამიტომ მომარაგების სამინისტროს არ შეეძლო პირველდღიდანვე შეეძინა უცხოეთის ვალიუტა. ბევრმა სცადა ის გზა, რომ ევაჭრათ საზღვარ-გარეთ და უფულოდ მოეტანათ სახელმწიფოში საქონელი, მაგრამ ამან ვერ გამოიღო ნაყოფი.

(შემდეგი იქნება)

თქვენს მოთხოვნილებას მთავრობა ყოველთვის დაპირებით უპასუხებს და ამ დაპირებებს სამწუხაროთ გასავალი აქვს თქვენში. წუხელის ქალაქის საბჭოს სხდომაზე გააძვირეს ტრამვაი, გააძვირეს წყალი, როგორც ამბობენ, აძვირებენ რკინის გზის ტარიფს. და ეს ჰქნა სოც. დემოკრატიის ფრაქციამ. თუ მას არ შეუძლია საქმის მოგვარება, თუ არ შეუძლია სახელმწიფო მმართველობა, მან თავი უნდა გაანებოს ყველაფერს. ის უმტკიცებს დამსწრეთ, რომ სახელმწიფო მმართველნი თვით აძვირებენ ცხოვრებას. თვით უწყობენ ხელს ფასების აწევას. მისი აზრით, სტარიფო პალატა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ვერ ემსახურება მუშათა ინტერესებს; ისინი უფრო პოლიტიკური საკითხებით არიან დაინტერესებულნი. მთავრობამ კერძო ინიციატივას თავისუფალი გასავალი მისცა და ეს აღრჩობს მუშათა კლასს. სამინისტრო ქნის ნაციონალიზაციის პოლიტიკას, რომ თქვენ დაგირიგოს საქონელი, მაგრამ ის სადღან მოიტანს? ბათომში არის კანტორა, საიდანაც „ცეკავშირს“ ნაყიდი ჰქონდა გლეხებისათვის დასარიგებელი საქონელი. ეს საქონელი ერამ წაართვა ცეკავშირს, წაართვა გლეხობას. ამავე დროს კი თფილისში აუარებელი საქონელია და მას არავინ ხელს არ ახლებს. მუშათა კლასმა თვით უნდა შეაგნებინოს მთავრობას, რომ საჭიროა ბურჟუაზიულ პოლიტიკის უარყოფა და სანამ ამას მუშები არ მოიმოქმედებენ, საქმე ვერ გამოუმჯობესდება.

და სხვა მრავალი ასეთი „საბუთები“ მოიყვანა ბ-ნმა ლორტმა იმის დასამტკიცებლათ, რომ მთავრობის პოლიტიკა ეკონომიურ საკითხში ღუპავს მუშათა კლასს, აძვირებს ცხოვრებას და საჭიროა მისი ძირიანათ შეცვლა. გარდა ამისა, ის თავის სიტყვაში იცავდა ბონებით მომარაგებას და ჯამაგირების გათანასწორებას.

ბ-ნ ლორტს უპასუხეს ამხ. ლორიამ და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ჩხენკელმა. ისინი შექმნილ ეკონომიურ მდგომარეობას უკავშირებდნენ საერთაშორისო მდგომარეობას და ამტკიცებდნენ, რომ მთავრობის პოლიტიკა მიმართული იყო და მუდამ იქნება მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

კრება დამთავრდა საღამოს 7 საათზე. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „თფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მუშა მოსამსახურეების საზოგადო კრებამ იქონია რა მსჯელობა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ, დაადგინა: მოსთხოვოს მთავრობას: 1) მიეცეთ მუშა-მოსამსახურეთ პირველ საჭიროების საგნები სისტემატიურად; 2) დაურიგდეთ ტანისამოსი წელიწადში ერთხელ გრძელვადიან სესხის სახით; 3) გადიდებულ იქნას პურის რაციონი მომუშავეთათვის 2 გირვანქამდე, ხოლო ოჯახის წევრებისათვის 1½ გირვანქამდე; 4) მიეცეთ სახელმწიფო ფონდიდან მუშა-მოსამსახურეებს დასამუშავებლათ მიწა; 5) გათანასწორებულ იქნას მუშა მოსამსახურეთა ჯამაგირები; 6) ვინაიდან სურსათ-სანოვაგის მიწოდება და პირველ საჭიროების საგნებით უზრუნველყოფა ვერ მოხერხდება დაჩქარებით, გადიდებულ იქნას მოსამსახურეთა ჯამაგირები.

დასასრულ პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კრებას გადასდოს ფრონტის სასარგებლოთ ერთი დღის სამუშაო ხელფასი სახელმწიფო დაწესებულების ყოველმა მოსამსახურემ. ამ წინადადებას კრება ხანგრძლივი ტაშით შეხვდა და უკამათოდ მიიღო ის.

სახალხო გვარდიაში

ტომონიერის თემ. გვარდიელებს,

ამხანაგებო! თუ რა რთულ პირობებში მოხდა ახლანდელი მობილიზაცია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში,—ეს ყველა თქვენგანმა კარგათ იცის. ცუდი ამინდებით შეჩერებულ შეფერხებულ „სტველს“ თან დაერთო მობილიზაცია და ერთი წლის სარჩო-საბადებელი მინდორში ანაბარათ დარჩა. მაგრამ თქვენი წასვლის დღიდან შეგნებულ მოქალაქეთა დახმარებით სიმინდი უკვე დიდი ხანია თავის ალაგას მოთავსებულია. ჩალის მოწევაც მოთავებულია. დღეს ჩვენი ყურადღება მიქცეულია თქვენი ოჯახისათვის შეშის მიწოდებაზე, რასაც ამ მოკლე ხანში მოვაგვარებთ.

ამხანაგებო! თქვენ იმედი გქონდეთ, რომ როდესაც თქვენს ვალს პირნათლად ასრულებთ საქართველოს მშრომელი ხალხის დაცვის საქმეში,—აქ ჩვენ—ზურგში დარჩენილები ვეცდებით ყოველმხრივ დაგეხმაროთ და გწამდეთ, რომ ამ მოვალეობას პირნათლად შევასრულებთ.

ტომონიერის თემის სახალხო გვარდიის შტაბის წევრი თ. გოშურაძე.

თფილისი 25 დეკემბერს, შესდგა თფილისის გვარდიის მუდმივ ნაწილების და ყველა რაიონების კულტ. განმ. სექციების წარმომადგენელთა შეერთებული კრება. კრებამ მიიღო დადგენილება გაფართოებულ იქნას კულტურული და პოლიტიკური მუშაობა ფრონტზე და პროვინციაში. უნდა მოეწყოს ლექციები და პროპაგანდა-აგიტაცია და ლიტერატურის გავრცელება. ხშირად უნდა გაიმართოს წარმოდგენები.

მთავარ შტაბთან არსებულ სექციასთან ყველა სექციებმა უნდა იყოლიონ მუდმივი წარმომადგენლები. X.

ერთობის უბანი

ერთობის უბანში, სადაც უმთავრესად მუშები სცხოვრობენ მეტად ჩამორჩენილია კულტურულად; არ არსებობს მუშებისათვის არავითარი კულტურული დაწესებულება, მაგ., სამკითხველო; არ არის მოწყობილი ლექციების კითხვა, რაც მუშებისათვის უპირველესი სულიერი მოთხოვნილებაა. არსებობს მხოლოდ ადგილობრივი უბნის კომიტეტი, რომელიც მხოლოდ სახელით იხსენება და საქმით კი არაფერს აკეთებს. მე მოვიყვან რამდენიმე ფაქტს იმის დასამტკიცებლად, რომ კომიტეტი არა სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე.

ხსენებულ უბანში არ არსებობს მილიცია, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს სავაჭროებს, სადაც ღამის ორ საათამდე კარტს თამაშობენ და ქეიფობენ.

ერთ-ერთი კარტის მოთამაშეთაგანი აცხადებს: „თუკი უბნის კომიტეტის ზოგიერთი წევრები შუაღამემდე სხედან და კარტს თამაშობენ,—მე რაღა ვარო“. მე დიდად სამწუხაროდ დამრჩა, როდესაც ჩემი თვალით ვნახე, რომ ეს „მოწინავე მუშები“ მართლაც კარტს თამაშობდენ „აზარტში“ შესულები.

საჭიროა დროზე ყურადღება მიექცეს ასეთ მოვლენას, თორემ ახალგაზრდობაც გადიჩვევა ამ წუმპეში.

ერთობის უბნელი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 22 დეკემბერს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა პირველი რაიონის პარტიული კრება.

პირველად მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოე ხომერიკი პარტიულ მუშაობის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს პარტიულ მუშაობას მოდუნებას და მოუწოდებს ამხანაგებს ენერგიულ მუშაობისაკენ.

ამ დროს კრებაზე შემოდის ჩვენი საყვარელი სტუმარი—ამხ. კარლ კაუცკი. კრება ფეხზე ადგომით და ოვაციებით ხვდება საყვარელ მოხუცს.

ამხ. მ. ძამანაშვილი მიესალმა კაუცკის მოკლე სიტყვით, რომელმაც გაიცნო კლუბის აშენების ისტორია და უსურვა ძვირფას მასწავლებელს ხანგრძლივი სიცოცხლე და ნაყოფიერი მუშაობა საერთაშორისო მუშათ-მოძრაობისათვის.

საპასუხო სიტყვაში კაუცკიმ რწმენა გამოსთქვა, რომ თუ საქართველოს დემოკრატია მომავალშიაც ისევე ენერგიულად განაგრძობს მუშაობას, როგორც დღემდე,—მაშინ გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება; საქართველოს მუშათა კლასს ვერ აშინებს ვერც შიმშილი, ვერც სიცივე, რაც იმის თავდებია, რომ იგი გამარჯვებას მიაღწევს. კაუცკის სიტყვები ტაშმა და ოვაციებმა დაფარა.

იმავე დღეს კაუცკიმ ცოლით და ამხ. დოლიძის თანხლებით ინახულა რამდენიმე ძველი მუშის ოჯახი. ყველანი ნასიამოვნები დარჩენ. №

სამტრედია. 16 დეკ. შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. სამტრ. საკომიტეტოს ყრილობა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ს. დევდარიანმა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: საქართველოს ს. დ. მ. პ. ქალ. სამტრედიის საკომიტეტოს პარტიულმა ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ს. დევდარიანისა თანამედროვე მდგომარეობისა, ცეკას, დამფუძნებელ კრებისა და მთავრობის ნაბიჯების შესახებ სიმინდის მომარაგების და საეკლესიო ქონების დაცვის საქმეში—იწონებს მას და აღუთქვამს დაუღალავ მუშაობას ამ ზომების ცხოვრებაში გასატარებლად. ყრილობა, გაიცნო რა მარჯვენივ და მარცხნივ დაწყებულ პროვოკაციულ მუშაობას,—მოუწოდებს ყველა პარტიულ ამხანაგებს მუშაობის გაძლიერებისაკენ ჩვენი პარტიის და მისი წევრები შეგნებულად დაიფასებენ შექმნილ ეკონომიურ მდგომარეობას და არ დაუშვებენ სათამაშოთ გახდნენ მოწინააღმდეგეების ხელში.

ყრილობის თავმჯდომარე ა. აბკურაძე.

დიდი ჯიხაიში. 18 დეკემბერს შესდგა დიდი-ჯიხაიშის სოც.-დემ. ორგანიზაციის წევრთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 100-მდე წევრი. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ალ. ლეჟავა მდივნათ თედ. ვაშაკიძე. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, მომარაგების სამინისტროს განკარგულება სიმინდის მოგროვების შესახებ და პარტიული მუშაობა. პირველ საკითხს შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. დევძეძე. კრებამ მიიღო მოხსენების უმთავრესი დებულებები და გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

სიმინდის ოპერაციების შესახებ მოხსენება გააკეთეს ალ. ლეჟავამ და დ. ვაშაძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ადგილობრივ თემის გამგეობას აქვს. ოფიციალური ცნობა სიმინდის შეგროვების შესახებ. გასაყიდ სიმინდიდან ბაზრის ფასებში ერთი მეათედი უნდა მიეცეს მთავრობის აგენტს. ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული და დაევალა პარტიის ყველა წევრს გააცნოს ფართო მასას სიმინდის შეგროვების საჭიროება და გაუწიოს ყოველგვარი დახმარება მთავრობის აგენტს ამ საქმეში.

პარტიულ მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ლ. ჭელიძე. მან აღნიშნა ის მიზეზები, რომლის გამო დროებით შეფერხებული იყო პარტიული მუშაობა ჯიხაიშში და მოუწოდა კრებას გააჩაღოს მუშაობა ყველა „იაჩეიკებში“—წინადადება უკამათოდ იქნა მიღებული.

ნოდე.

მუშათა შორის

ფეხსაცმელების სახელოსნოში. 27 დეკემბერს შესდგა სამხედრო სამინისტროს ფეხსაცმელების სახელოსნოს მუშათა საერთო კრება. განსახილველი იყო საკითხი საქარხნო კომიტეტის არჩევნების შესახებ. კრებამ სასურველად სცნო ახალი არჩევნები და აირჩია შემდეგი ამხანაგები: მამულაშვილი, ძამაშვილი, ქართველიშვილი, კარაპეტოვი, გრიქუროვი, არაქელოვი, სერაპოვი. ვუსურვებთ ახალ არჩეულებს ნაყოფიერ მუშაობას.

ვანო გაგაშვილი.

მუშათა მაგიდამ მისცა შეშა არსენალის მუშა-მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად და თან განმარტა, რომ შეშა მიეცემა იმ პირთ, ვისაც ჰყავს ოჯახი: მესმის ეს განკარგულება სამართლიანი იქნებოდა, თუ მარტო იმ პირთ მიეცემოდათ შეშა, ვისაც ბავშვები ჰყავს ოჯახში და ან მოხუცი დედა თუ მამა, მაგრამ იმ პირთაც ეძლევათ, თუ ოჯახი შესდგება მარტო ცოლ-ქმრით, რომელნიც ამ გაჭირვებულ დროში უმეტესობა ორივენი იმყოფებიან სამსახურში.

რა დაუშავეს მარტო ქალებმა, რომელნიც სამსახურის შემდეგ მიდიან გაყინულ ოთახში, რადგან დღევანდელი ჯამაგირი იმდენათ ვერ დააკმაყოფილებს ადამიანს, რომ შესძლოს კერძოთ შეიძინოს შეშა.

იმედია მუშათა მაგიდა ამ მოვლენას მიაქცევს ყურადღებას. ფ. ა.

პროვინცია

ბორჩალოს მაზრა. წყეული აბათი სისხლის აღებისა ბორჩალოს მუსულმან მცხოვრებთა შორის ოდნავადაც არ განელებულა მრავალი ხნის განმავლობაში. ისე კვირა არ გაივლის, რომ ერთი ან ორი ადამიანი არ გახდეს ამ უგუნურობის მსხვერპლი და რაც უფრო სავალალოა, უმეტეს შემთხვევაში ბოროტმოქმედი თითქმის სრულებით დაუსჯელი რჩება. მართალია ამ მხრით ხალხიც არ უწევს ადგილობრივ მილიციას სათანადო დახმარებას, მაგრამ სამწუხაროთ, ვერც თვითონ მილიცია იჩენს საკმაო ენერგიას დამნაშავის აღმოჩენაში, ამ მაზრაში ხსენებულ აბათის ნიადაგზე მკვლელობა იმდენათ ხშირ მოვლენათ არის გადაქცეული, რომ ჩვეულებრივი ლმობიერი წესებით და საშუალებებით მისი აღმოფხვრა ყოვლად შეუძლებელია. საბოლოოთ ამ ბოროტებასთან ბრძოლა, რა თქმა უნდა სკოლებისა და სხვა კულტურულ ზომების შემწეობით უნდა მოხდეს, მაგრამ დღესაც რომ საჭიროა უფრო მეტი სისასტიკე და რეპრესიები, ამის უარყოფაც არ შეიძლება. ამას მოითხოვს თვით გამწარებული ხალხი და როცა ამას ვერ ხედავს, მთავრობის სისუსტეზე მოსთქვამს. მე ჩემის თვალით ვუცქერდი, როგორ მოკლეს ამას წინათ უპატიოსნესი ადამიანი მოჯამაგირე თათარი მეუნბეა ერთი ადგილობრივი მექარხნე გერმანელი. ეს იცის მთელმა სოფელმაც და დამნაშავე აქამდის თავისუფლათ დადის და კიდევ მე მემუქრებაო. საზოგადოთ ვინ მოსთვლის, რამდენი, ყველასათვის აშკარა მკვლელი და ყაჩაღი დასეირნობს ამ ჟამად ბორჩალოს მაზრაში სრულებით თავისუფლათ და ცხადია, ეს გაუგებარია, ზევრი რიგიანი მოქალაქისათვის.

ჩემის აზრით ამ გარემოებას უნდა მიექცეს ეხლავე მეტი ყურადღება, უნდა მიეცეს შესაფერი ინსტრუქციები ადგილობრივ მილიციის უფროსებს და სხვა დროთ აგრეთვე ვეფიქროთ ამ მაზრის განიარაღებაზე და სხ.

როგორც ერთ ნიმუშს ზემოხსენებულის საილუსტრაციოთ აქ დავასახელებ იმ მკვლელობას რომელიც მოხდა დეკემბრის 19-ს ბაშკიჩეთის ახლოს თათრის სოფ. იაკლუზოში. დღით, სულ ერთი ვერსტის მანძილზე სოფლიდან მოჰკლეს ადგილობრივი სახელმწიფო ფურდის გამგის დარაჯი ახალგაზრდა მურსალ ახმედ ოღლი. მკვლელობის მიზეზი არავინ იცის; აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი წლის წინათ მოჰკლეს მისი მამა ახმედი. მე არ ვიცი, ვის წინაშე რა დანაშაული მიუძღოდა ხსენებულ მამა-შვილს, მაგრამ რაც უნდა იყოს, ასეთი თვითგასამართლება ყოვლად დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც ვიცი მამის მკვლელიც არ არის დაჭერილი და დასჯილი; ჯერჯერობით არც შვილის მკვლელია შეპყრობილი, მიუხედავათ იმისა, რომ ეს იცის მთელმა სოფელმა როგორც ამბობენ.

ხალხი აღშფოთებულია ამ ამბებით და მოითხოვს დამნაშავის დაუყონებლივ შეპყრობას და სამაგალითოდ დასჯას. ვნახოთ შესძლებენ ამას მთავრობის ადგილობრივი აგენტები თუ ესლაც ჩვეულებრივათ დაუსჯელი დარჩება ბოროტმოქმედი და ეს საბაბს მისცემს მას კიდევ ახალი მკვლელობა ჩაიდინოს?

გამვლელი.

დ. ჩოხატაური. 16 დეკემბერს შესდგა ჩოხატაურის რაიონის მასწავლებელთა და თემების თავმჯდომარეთა კრება, რომელსაც დაესწრო ოზურგეთის მაზრის სახალხო სკოლების ინსტრუქტორი გ. გოგუაძე.

გ. გოგუაძემ გააკეთა მოხსენება მასწავლებელთათვის მოკლე ვადიან კურსების, საკვირაო სკოლებისა და სახ. უნივერსიტეტების გახსნის შესახებ. მოხსენება ერთხმად მიღებული იქნა და დანიშნეს საკვირაო სკოლების და სახალხო უნივერსიტეტების გახსნის დღეთ ორი იანვარი. ამ საქმის ინიციატივას ღებულობენ თავის თავზე რაიონის მასწავლებელნი; ტეხნიკურათ მოწყობა და წერა-კითხვის არ მცოდნეთა შეკრება დანიშნულ დღისთვის ევალება თემის თავმჯდომარესა და მილიციის უფროსს.

X.

ფოთი. 16 დეკემბერს ამხ. ს. დევდარიანმა ადგილობრივ თეატრ „კომეტა“-ში წაიკითხა მოხსენება საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ხალხი ბლომად დაესწრო.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იწონებს სავსებით მთავრობის პოლიტიკას და აღუთქვამს მას სრულ დახმარებას. მარნელი.

მამულისათვის თავდადებულთა სახსოვარი

თანახმად თფილისის სამხედრო ტაძრის საქმეთა გამგე კომიტეტის მოხსენებისა ზ. სამხედრო მინისტრმა ბრძანა, შესდგეს სია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და მის განმტკიცებისათვის თავდადებულ მამულიშვილთა და მათი სახელები [illegible] სამხედრო ტაძრის მარმარილოს ფილებზე საუკუნოდ უკვდავ საყოფელად.

სია შედგენილია სამხედრო მინისტრის საინსპექციო საჯილდოვო ნაწილის კანცელარიის მიერ და ამასთანავე ქვეყნდება. შესაძლებელია, სია არ იყოს სრული, ამისათვის წინადადება ეძლევა სიაში შესატან პირთა ნათესავებს და ნაცნობებს, და აგრეთვე სამხედრო ნაწილთა უფროსებს, მოგვაწოდონ დასაბუთებული ცნობები მამულისათვის დაღუპულ მებრძოლთა შესახებ. საჭიროა ჩვენება: რომელ ნაწილში ირიცხებოდა, სად, რომელ ომში და როდის დაიღუპა სიაში შესატანი მებრძოლი. ცნობები უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: თფილისი, გენერალურ შტაბის უფროსს.

თავმჯდომარე კომიტეტისა: გენ. ქუთათელაძე.

წინამძღვარი ტაძრისა: დეკ. ა. თოთიბაძე

სია გმირულად დაღუპულ აფიცრებისა:

1. პორუჩიკი ნიკოლოზ ილიას ძე მაკარაშვილი. (უმცროსი აფიცერი, სამთო ბატარეისა. 11 იანვარს 1918 წელს შამხორში მოკლულია ჯავშნიან მატარებელზე). 2. პორუჩიკი ვლადიმერ ბარნაბიშვილი. (უმცროსი აფიცერი მე-5 ქვეითა პოლკი 1918 წელს დეკემბრის 25-ს; სანაინის ფრონტზე). 3. პრაპორშჩიკი დოლიძე. უმცროსი ოფიცერი მე 5 ქვეითა პოლკი, 1918 წელს დეკემბრის 22-ს; სანაინის ფრონტზე). 4. პოდპოლკოვნიკი დადიანი. 1-ლი ცხენოსანი პოლკი, 1918 წ. დეკემბრის 18 ს; სანაინის ფრონ. სოფ. სადახლოსთან.) 5) პორუჩიკი პიკუნოვი. უმცროსი აფიცერი, მე 6 ქვეითა პოლკი, 1918 წელს დეკემბრის 18; სანაინის ფრონტზე. 6) პოდპორუჩიკი გოგოლაძე. უმცროსი ოფიცერი, მე-6 ქვეითა პოლკი, 1918 წელს დეკემბრის 18; სანაინის ფრონტზე. 7) პორუჩიკი მიქელაძე, უცროსი ოფიცერი, თფ. სადარაჯო რაზმი, 1918 წელს დეკემბრის 9-ს, სანაინის ფრონტზე. 8) პრაპორშჩიკი აბულაძე, უმცროსი აფიცერი, თფ. სადარაჯო რაზმი, 1918 წელს დეკემბრის 9-ს; სანაინის ფრონტზე. 9) კორნეტი შინგელაია, სახ. გვარ. ცხენ. დივიზ. 1918 წელს დეკემბრის 16 ს; სანაინის ფრონტზე. 10) კაპიტანი ჩოლოშვილი, სახ. გვარ. ცხენ. დივიზ. 1918 წელს დეკემბრის 16 ს; სანაინის ფრონტზე. 11) პორუჩიკი ჩიქოვანი, სახ გვარ. ცხენ. დივიზ. 1918 წელს დეკემბრის 20 ს; სანაინის ფრონტზე. 12) კაპიტანი გრიგოლია, არმიის საარტ. ბრიგადა, 1918 წელს იანვრის 13 ს; სანაინის ფრონტზე. 13) პოდპორუჩიკი ჩაჩიშვილი, ქართული ლეგიონი, 1919 წელს იანვრის 30 ს; ახალციხის ფრონტზე. 14) პოდპორუჩიკი ბარათაშვილი, უმცროსი ოფიცერი, ბათომ. პარტიზ. პოლკი, 1919 წელს იანვრის 30-ს; ახალციხის ფრონტზე. 15) პრაპორშჩიკი აბულაძე, უმცროსი აფიცერი, მე 3 ქვეითა პოლკი, 1919 წელს იანვრის 9-ს; ახალციხის ფრ. ს. უდესთან.) 16) პოდპორუჩიკი ჯავახიშვილი, (უმცროსი აფიცერი, მე-4 ქვეითა პოლკი, 1919 წელს თებერვლის 6 ს; ახალციხის ფრონტზე.) 17) პრაპორშჩიკი გიორგი ერეთოდის ძე ყარანგოზიშვილი, (უმცროსი ოფიცერი, მე-4 ქვეითა პოლკი, 1919 წელს თებერვლის 6-ს ახალციხის ფრონტზე, 18) პორუჩიკი კეზელი, (უმცროსი აფიცერი, მე 6 ქვეითა პოლკი, 1919 წელს თებერვლის 11 ს; ახალციხის ფრონტზე. 19) პორუჩიკი შოუვა მიქელაძე, (უმცროსი აფიცერი, მე 6 ქვეითა პოლკი, 1919 წელს თებერვლის 11; ახალციხის ფრონტზე. 20) კაპიტანი მიქელაძე, (სასაპიორო გუნ. 1919 წელს თებერვლის 10 ს; ახალციხის ფრონტზე.) 21) კაპიტანი ტატიშვილი, (მე 6 ქვეითა პოლკი, 1919 წელს, ახალციხის ფრონტზე.) 22. პრაპორშჩიკი ჩ ჩუა, (უმცროსი აფიცერი, მე 3 ქვეითა პოლკი, 1919 წელს, ახალციხის ფრონტზე.) 23 შტაბს-კაპიტანი დიმიტრი ნიჟარაძე, 1-ლი შავი ზღვის რაზმი, 1919 წელს მარტის 1 ს; ახალციხ. ფრონ. ს. ადიგენში.

(გაგრძელება იქნება)

რედაქტორი [illegible]

განცხადებანი

დავკარგე

აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების საწევრო წიგნაკი ლილი ნიკოლოზის ასულ დე-ნორმანის სახელზე, გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულათ.
(5190—1—1)

დავკარგე

შევებულების მოწმობა მიღებული სენაკის სამხედრო კომისიისაგან № 4545. ითვლება გაუქმებულად. სოფ. ნოქალაქევის მცხოვრებია იაკობ ტოტის ძე ფინთურია.
(კუპ. 1165)

პეტრე სოლომონის ძე ნარიმანაშვილმა

დავკარგე

წიგნაკი მეპურეთა პროფესიონალურ კავშირის წევრობისა და ვაცხადებ გაუქმებულათ. (4184—1—1)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 12—1 ს. დღის. 5—6 საღ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 22—თებ.

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს და საღამოს 6—8 საათამდე.
28 იანვ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ბოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროექტორ „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ № 5—97 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—იანვ

ქ. გ. [illegible]
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29—იან.)

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე - პანიევი
იღებს საბებიო და ქალის სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 ს. [illegible] ქ. № 33. (7 იანვ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—იანვ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. [illegible] ქ., 28, ტელეფ. 7—91 (1—იანვ.)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურობა ნევრასთენია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10—11 ნახ. ს. საღ. 5—7 საათამდე. 15—იანვ.

ექიმი
ვ. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „605“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. ფასაჟისის, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—93. (7—იანვ.

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდე-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დღის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი).
(1 იანვ.)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (5 იან.)

დავკარგე

მე ზახვა მიქაძემ საფულე, ფული 5500 მან., ანგარიშები და კვიტანციები აბაშის სახალხო გვარდიის რაიონულ შტაბისა, პირადობის მოწმობა და ნებართვა იარაღის ტარებისა. მნახველს ვთხოვ დამიბრუნოს ჩემთვის საჭირო საბუთები, ფული და საფულე თვითონ დაიტოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთებს ვაცხადებ გაუქმებულათ. აბაშის სახალხო გვარდიის რაიონულ შტაბის წევრი ზახვა მიქაძე. მისამართი აბაშა (სენაკის მაზრა) ს. გვარდიის შტაბის წევრს ზ. მიქაძეს.
(ბ. 1—1)

საჭიროა ამხანაგი
საბაკალეინო სავაჭროში
მსურველს ვთხოვ მიმართოს საწრაფოდ ქუჩა 19 თებერვლის № 76, აქვე იყიდება „ნიკელიროვანი სამოვარი“. (4186—1—1)

აფიცერთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 3 იანვარს 1921 წ. წლიური ფაქტიური რევიზიის გამო, საზოგადოების კანტორა, სახელოსნოები და მაღაზიები კირკის ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე და კახეთის მოედანზე
დაკეტილი იქნება
(ბ. 2—1)